ოქტომბერი
1932 წ.
№ 82

დამოუკიდებელი საქართველო

La Géorgie
Indépendante
Revue mensuelle
OCTOBRE
1932—№ 82

საქართველოს პოლიტიკური პარტიების ორგანო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ ი ნ ა ა რ ს ი:

მეთაური—ერთა ლიგის კრიზისი.
მ. მუსხელიშვილი—ფედერალური ფინ. და ჯარი.
Louis Le Fur—საქარ. და საერთაშორ. უფლება.
მ.—ანი—გერმანელი ქართველებზე და საქ. 1862 წ.
აზერბეიჯანის ეროვნული ბრძოლა.
ეროვნული მოძრაობა მაჰმადიანთა შორის.
N.—პარიზის ქართველ საზოგადოებაში.
საქართველოს ამბები.
მოძრაობა კავკასიაში.
პრესა.

ერთა ლიგის კრიზისი

ვინ არ მეტყველობს ეხლა ერთა ლიგის კრიზისზე, ზოგი შიშით, ზოგი დაცინვით? არიან ისეთნიც, ვინც «სულთა თანას» უგალობს და ერთ მუჭა მიწას აყრის ვითომ და მის დასაფლავებულ გვამს.

ჩვენ არ ვამბობთ მოსკოვზე, რომლის სიძულვილი ყენევისადმი ცნობილია, და იმავე დროს ვისი დელეგატები ასე ხშირათ დაძრწიან იქ! არა, თვით ერიოსა და მაკდონალდ-შორისაც კი დაისვა არაპირდაპირ კითხვა, გერმანიასთან დავის გამო, განიარაღების კონფერენციის ირგვლივ. მაკდონალდი ფიქრობდა სიმძიმის ცენტრი ყენევიდან ლონდონში გადაეტანა, ხოლო ერიო ამას ეწინააღმდეგებოდა, და მას ზურგს უმაგრებდენ თითქმის ყველა პატარა და საშუალო სახელმწიფონი, წევრნი ერთა ლიგისა. ბოლოს შეჩერდენ ისევ ყენევაზე, მაგრამ გერმანიამ არ მოისურვა იქ დელეგატების გაგზავნა, მაშასადამე, უნდობლობა გამოუცხადა მის საერთაშორისო დაწესებულებას.

და ამით ისიც დაამტკიცა მან, რომ ერთა ლიგა ცოცხალია, არ მომკვდარა! მაკდონალდმა, ინგლისის პრემიერმა, სიტყვაც კი წარმოთქვა იჭვების გასაფანტავათ: ერთა ლიგას ჩვენ დიდის იმედებით შევყურებთ, აზრადაც არ მოგვსვლია მისთვის ზურგის შექცევაო.

მაგრამ ეს ღაღადი განა უარყოფს კრიზისს? არა, რასაკვირველია, რაიცა ყველაზე უკეთ ცხად ჰყო ერთა ლიგის წლევანდელმა ყრილობამ: არც ერთი დიდი კითხვა, არც აწეული დებატები, დარბაზი ნახევრათ ცარიელი, ისე ჩატარდა, მაყურებელს ძილსა გვრიდა.

მაშ რაშია საქმე, რა მოხდა? არაფერი, გარდა იმისა, რომ გაზვიადებული იმედები გაქარწყლდა და მათი ადგილი ულმობელმა სინამდვილემ დაიჭირა.

გაიხსენეთ, როგორ იშვა ერთა ლიგა. დიდ ომში გამარჯვებული კლემანსო და ლოიდ ჯორჯი ზავსა სწერდენ, ხოლო ვილსონი, სამარადისო მშვიდობიანობის მოტრფიალე, ერთა ლიგის პაქტს აკერებდა საზავო ხელშეკრულებას. როგორ შეიძლებოდა ამ ორი დოკუმენტის შეგუება, შეთვისება? ერთის მხრით, უმკაცრეს საზავო პირობების კარნახი, მეორეს მხრით, მშვიდობიანობა! ამას ზედ დაურთეთ ამერიკის უარი ვერსალის ზავის ხელის მოწერაზე, რაიცა პირველი ლახვარი იყო ვილსონის პირმშო ერთა ლიგისთვის.

ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს აქვე, თუ რა საშინელი შედეგები მოჰყვა დიდ ომს, მათ ებრძოდენ და ებრძვიან, თავი კი ვერ დაუღწევიათ. მართალია, ერთა ლიგამ ბრიანის ხანაც განვლო, როცა ლოკარნო დაიწერა და გერმანია ერთა ლიგის წევრი გახდა. რა დიდი აღტყინება გამოიწვია ამ ამბავმა, ასე გეგონებოდათ მშვიდობიანობის სასუფეველში შეველდითო! მაგრამ სინამდვილე უფრო მკაცრი აღმოჩნდა, და რაც ყველაზე საინტერესოა, სათავე ისევ ვერსალის ზავი გამოდგა! გერმანია ამ ზავს იმოწმებს, როცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამხედრო თანასწორობას მოითხოვს: როცა მე განმაიარაღეთ, დამპირდით, რომ თქვენც განიარაღდებით, ინებეთ შეასრულეთო. მართლაც, ვერავინ უარყოფს, რომ ერთა ლიგის პაქტს განიარაღება დაედო საფუძვლად, ამისათვის მოიწვიეს კიდეც კონფერენცია.

მეორე დიდი მოვლენა, რომლის წინაშე შედრკა ერთა ლიგა, არის ჩინეთ იაპონიის კონფლიქტი. არ შეიძლება ითქვას, რომ ყენევა გულგრილათ შეჰყურებდა მას, პირიქით, ხელი შეუწყო ომის ჩაქრობას, გააგზავნა საანკეტო კომისია ადგილობრივ და მის მოხსენებას შემდეგ თვეში განიხილავს. რა უნდა შესძლებოდა ამის მეტი? არაფერი, მაგრამ სკეპტიკნი და დამცინავნი არ სცხრებიან: ერთა ლიგამ ვერაფერი გააკეთა, არაფრათ ღირებულა, დროა წესი ავუგოთო.

დავაკვირდეთ უფრო ახლო საგანს. ერთა ლიგას არ აბადია არავითარი ფიზიკური ძალა, რომ თავის დადგენილებანი სისრულეში მოიყვანოს. კიდევ მეტი, მას არ შეუძლია, პაქტის ძალით, დადგენილებაც მიიღოს, თუ მას არ მიემხრო ყველა მისი წევრი. მაშ როგორ გნებავთ, რომ ის ღირსეულათ გაუძღვეს საქმეს, მოაგვაროს საერთაშორისო გართულებანი? მართალია, ლიგამ დააშოშმინა არა ერთი და ორი კონფლიქტი, მაგრამ ამ შემთხვევაში საქმე ჰქონდა პატარა სახელმწიფოებთან; რაც შეეხება დიდებს, მათზე რჩევები და სენტენციები არ მოქმედებს.

და აი აქ ისმის პრინციპიალური კითხვა: მიეცეს თუ არა ერთა ლიგას ზე-სახელმწიფოებრივი უფლება და საშუალებაც მის გასანაღდებლათ, ან სხვა სიტყვებით, შეეკვეცოს თუ არა თვითეულ სახელმწიფოს უზენაესობა ერთა ლიგის სასარგებლოთ? პაქტი სახავს თვითეულ სახელმწიფოს უზენაესად და იმავე დროს აკისრებს ლიგას ისეთ მოვალეობას, რომლის შესრულება მხოლოდ ამ უზენაესობის შეკვეცით შეიძლება. აი, ძირითადი წინაამდეგობა.

როგორ შეიძლება ამ კვანძის გახსნა? მხოლოდ სახელმწიფოთა დემოკრატიზაციით, სინამდვილეში კი ჩვენ ვამჩნევთ სხვადასხვა სახის დიქტატურის გაჩენას. აქამდის ერთა ლიგის სისუსტეს იმ გარემოებას აწერდენ, რომ მასში წარმოდგენილი იყვნენ მთავრობანი და არა ერნი პარლამენტის სახით; ეხლა ამას ემატება ისიც, რომ მთავრობანი ხშირათ დიქტატორის უბრალო ტიკინები არიან, ერთა ლიგას ზევიდან დაბლა დაჰყურებენ და მზათ არიან მთლათ დატოვონ ის, თუ აწყენინეს. იაპონია, მაგ., გასვლით იმუქრება, თუ ლიგა ლორდ ლიტონის კომისიას გაჰყვა ფაქტების დაფასებაში და დასკვნებში.

შეიძლება ითქვას, ერთა ლიგა გარდატეხის ხანაშია, მისი ყოფნა-არყოფნა დამოკიდებულია იმაზე, შესძლებენ თუ არა ცალკე სახელმწიფონი დასძლიონ შინაური კრიზისი, შემოიღონ ნამდვილი ხალხსნური მართველობა და, როგორც შედეგი, განამტკიცონ ერთა შორის სოლიდარობა. ერთა ლიგა მხოლოდ არსებულ ვითარების გამომხატველია, რამდენათ ძლიერია ერთა სოლიდარობა, იმდენათ ნაყოფიერია და ავტორიტეტი ლიგის მუშაობა, და წინაუკმო.

ერთა ლიგის ერთი დიდი ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ მის მუშაობაში მონაწილეობას იღებენ ყველა სახელმწიფონი, თვით არა-წევრნი, როგორიცაა შეერთებული შტატები და საბჭოთა კავშირი, იძულებული არიან დაესწრონ მის მიერ მოწვეულ კონფერენციებს. პასუხისმგებელ სახელმწიფო მოღვაწეთა ეს ხშირი შეხვედრები, აზრთა გაცვლა გამოცვლა, საჯარო დებატები ჰქმნიან ისეთ ხელსაყრელ ატმოსფერას, რომლის მზგავსი ომის წინ არ იცოდენ. თუ პაქტი ჯერ კიდევ ბევრ გაუმჯობესობას მოითხოვს, თუ ლიგას არ მოეპოება საშუალება თავის დადგენილებანი სისრულეში მოიყვანოს, სამაგიეროთ ის ხდება საერთაშორისო თანამშრომლობის მუდმივ ცენტრად. აქედან, რაც დრო გადის, ლიგა უნდა იქცეს საერთაშორისო სამართლიანობის და კანონიერების სინიდისად. ლიგა ჰქმნის საზოგადო აზრს ამა თუ იმ მოვლენაზე, მას ანგარიშს უწევენ და შორს არაა ის დრო, როცა მის წინაამდეგ მოქმედება დაუსჯელათ არავის ჩაუვლის.

ზევით ვახსენეთ გაკვრით, თუ როგორის თავდადებით იცავენ პატარა და საშუალო ერნი ყენევის პრესტიჟს, ისინი მზათ არიან თავიანთი უზენაესობაც კი შეზღუდონ, ოღონდ ლიგა უძლიერეს საერთაშორისო ფაქტორად იქცეს, ერთგვარ არბიტრად ერთა შორის ყოველ გართულებათა მოსაწესრიგებლათ. ეს თავის თავათ გასაგებია, რადგან ვერც ერთი პატარა ერი, რა რიგ კარგათ არ იყოს მოწყობილი მისი თავდაცვის საქმე, ვერ შესძლებს მეზობელ დიდ სახელმწიფოს სამხედრო ძალთა მოგერებას. ამიტომ მისი იდეალია ისეთი საერთაშორისო ორგანოს შექმნა, რომელიც დაიცავს მას უცხო დარბევისაგან; ამიტომ ეკედლება ის, სხვათა შორის, განიარაღებასაც, რადგან სამხედრო ხარჯები მძიმე ლოდად აწვება მის ბიუჯეტს და აფერხებს მის ყოველმხრივ განვითარებას.

ერთა ლიგის 3 ოქტომბრის სხდომა, მისი თავმჯდომარის პოლიტისის სიტყვით, ისტორიული თარიღია, ამ დღეს მიიღეს ლიგაში ირაკის სამეფო, რამაც დიდი აღტაცება გამოიწვია. მართლაც. ინგლისის მანდატის ქვეშ მყოფი არაბთა პატარა სამე–

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფო მესოპოტამიაში დღეს სრულიად დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არის აღიარებული. აქ ორ მომენტს უნდა მიექცეს ყურადღება: ერთის მხრით, მანდატის გაუქმება თვით მანდატორის ნებაყოფლობით, მეორეს მხრით, დამოუკიდებლობის ცნობა არა ცალკე სახელმწიფოთა, არამედ მთელი მათი კრებულის მიერ, რიცხვით 55!

მაგრამ არის მესამე მომენტიც, გაცილებით უფრო საყურადღებო. სანამ მიიღებდენ, ბევრ სხვა და სხვა პირობაზედ მოაწერინეს ირაკს ხელი: ეროვნულ და სარწმუნოებრივ უმცირესობათა უფლების ცნობა, დადებულ ხელშეკრულებათა დაურღვევლობა, ლიგის ჩარევა, ვინიცობაა ირაკს კონფლიქტი მოუხდეს მეზობელ სახელმწიფოებთან და სხ. როგორც ხედავთ, აქ აშკარათ სახელმწიფო უზენაესობის შეზღუდვაა, მაგრამ რომელი პატარა ერი არ ინატრის მას? ერთა ლიგა ეუბნება ირაკს, თუ მეზობლებთან კონფლიქტი მოგიხდა, მე ჩავერევიო, რაიცა ნამდვილათ დახმარებას ნიშნავს. ან კიდევ აიღეთ თავდაცვის ხელშეკრულება, რომელიც ირაკმა დასდო ინგლისთან 1930 წ. 30 ივნისს,—განა შეშლილი არ უნდა იყოს ირაკი, რომ ის დაარღვიოს?

შეადარეთ ეხლა მანდატორ ინგლისის ქცევა მოსკოვის სივერაგეს. საქართველოც სწორეთ სახელმწიფოთა კრებულის, მოკავშირეთა უმაღლეს საბჭოს მიერ იქნა ცნობილი (ინგლისი, საფრანგეთი, იტალია, ბელგია, იაპონია) და მისი დაშვება ერთა ლიგაში მხოლოდ გადადებული იყო ერთი წლით, როგორც ბალტიის რესპუბლიკების. ამ დროს ქურდულათ ეპარება ჩრდილო ბარბაროსი და ახრჩობს მის თავისუფლებას! მეორეს მხრით, საქართველოს საკითხი მუდამ წესრიგშია ჟენევაში, თანახმათ ლიგის დადგენილებათა 1922 და 1924 წ.წ.

ამ რიგათ, ერთა ლიგას პატარა ერებისთვის განუზომელი მნიშვნელობა აქვს. შეიძლება ითქვას, მთელი მათი მომავალი ჟენევის საერთაშორისო დაწესებულების გამაგრება-განმტკიცებისაგან არის დამოკიდებული.

დღეს ლიგა კრიზის განიცდის, მაგრამ, როგორც ზოგიერთნი ამბობენ, ეს მხოლოდ ზრდის ტკივილებია, გაივლის დრო, არც ისე დიდი, იმედია, და ის გაიზრდება, მომწიფდება, და ნამდვილ დედობას გაუწევს მის ფრთებ ქვეშ შეფარებულ ერებს.

ფედერალური ფინანსები და ჯარი

კავკასიის კონფედერაციის პაქტში

სახელმწიფოთა კონფედერაციის მოწყობის დროს ორი დიდი საკითხი წამოიჭრება წინ—ფინანსების და ჯარის. გასაგებია, თუ რატომ: არა კმარა კონფედერალურ ხელისუფლებისათვის თვისებათა მთელი რიგის მინიჭება, საგარეოთა თუ საშინაოთა. საჭიროა ამასთანავე მას ჰქონდეს შესაძლებლობა ამ თვისებათა სარგებლობის, მას უნდა მიეცეს მატერიალური სახსარი სხვადასხვა სამსახურის მოწყობისათვის, რათა გამოიყენოს მინიჭებული თვისებანი (უფლებანი). აგრეთვე აუცილებელია ძალაც, რათა სხვებიც აიძულოს ვალდებულების შესასრულებლად. საკონფედერაციო ხელისუფლების კომპეტენცია, თეორიულად, შეიძლება ფრიად ფართო იყოს, მაგრამ ეს უმნიშვნელოა, თუ ამავე დროს მას არ მოეპოვება საშუალება მის განხორციელებისათვის პრაქტიკულად. კონკრეტული მაგალითი ცხად ჰყოფს ამ აზრს: მოგახსენებთ საფრანგეთის კომუნებისა და დეპარტამენტების შესახებ. 1926 წ. სექტემბერ-ნოემბრის დეკრეტ-კანონების ძალით მოხდა საკომუნო და სადეპარტამენტო საზოგადოებრივ სამსახურის დეცენტრალიზაცია. მრავალ საგნისთვის ადგილობრივ ორგანოებს შეუძლიათ იმსჯელონ და მიიღონ გადაწყვეტილება ცენტრალურ მთავრობის დაუდასტურებლად. ხოლო ეს დადასტურება, როცა საჭიროა, ხდება ჩუმად, ფარულად. და რადგან ფინანსების მხრით ადგილობრივი სამსახური დამოკიდებულია ცენტრალურ მთავრობისაგან, ამიტომ სინამდვილეში კომუნების და დეპარტამენტების ფართო უფლებებისაგან აღარაფერი რჩება. ფინანსური დამოკიდებულების გამოა, რომ ფართო თავისუფლება მიანიჭეს ადგილობრივ ორგანოებს: ვინც ფინანსურად დამოუკიდებელი არაა, იგი ვერ შესძლებს თავის გადაწყვეტილების შესრულებას. რაც შეეხება სამხედრო ძალას, მისი მნიშვნელობა იმდენად აშკარაა, რომ საჭირო არაა ამაზე შეჩერება.

როგორ სწყვეტს კავკასიის პაქტი საკოფედერაციო ფინანსების საკითხს? პაქტი მეტად მოკლე პასუხს გვაძლევს—მეექვსე მუხლი აცხადებს: «კონფედერაციის სახსრები შესდგება წევრ-სახელმწიფოების დაწესებულ გადასახადებისაგან». მაშასადამე ცხადია: კონფედერაციას არ აქვს საკუთარი სახსრები. ფინანსურად იგი დამოკიდებულია კონფედერაციაში შემავალ სახელმწიფოებისაგან. ეს დიდი ნაკლია, მით უფრო გაუგებარი, რომ არის წყარო შემოსავლისა, რომელიც ნორმალურად უნდა ეკუთვნოდეს კონფედერალურ ხელისუფლებას—საბაჟოების შემოსავალი. საბაჟოების საქმეები ხომ მხოლოდ საკონფედერაციო ხელისუფლებას ექვემდებარება; კონფედერაციას ხომ ერთი საბაჟო საზღვარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქვს. მხოლოდ იგი სდებს საბაჟო ხელშეკრულებათ. თუ ეს ასეა, რატომ არ უნდა წავიდეთ ცოტა შორს და არ მივანიჭოთ საბაჟოების შემოსავალი საკონფედერაციო ხელისუფლებას. ეს იქნებოდა ლოგიკური და ბუნებრივი. მაგრამ პაქტის შემადგენელნი აქამდის არ წავიდნენ: ცალ-ცალკე სახელმწიფოების სეპერატულმა გრძნობამ დასძლია ერთობის გრძნობა.

ხოლო მარტო ეს არაა სუსტი მხარე დასახელებული მუხლის. იგი არაფერს ამბობს, თუ თვითეული სახელმწიფო როგორი წესით მიიღებს მონაწილეობას საერთო ხარჯებში? ვინ იქნება მსაჯული განაწილების? რას გაუწევენ ახგარიშს თვითეული სახელმწიფოს ხვედრ გადასახადის განაზღვრისთვის —მცხოვრებთა რაოდენობას, მის ბიუჯეტს, თუ ბუნებრივ სიმდიდრეს? ამ კითხვებზე პაქტი არავითარ პასუხს გვაძლევს.

ცხადია, მე არ მავიწყდება, რომ ყველაფერს ამას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა არ აქვს, რადგან პაქტის განხორციელების დღე ჯერ არ დამდგარა. მაგრამ კრიტიკულ შესწავლისათვის საჭიროა განყენება ფაქტისაგან. კრიტიკაც იმიტომ არსებობს, რომ ხელი შეუწყოს საკონსტიტუციო იარაღის გაუმჯობესობას, ვიდრე უკანასკნელს სინამდვლეში ისარგებლებდეს.

უეჭველია, რომ დასახელებული საგნების შესახებ პაქტი განსაკუთრებულად ლაკონიურია. აუცილებელია ამიტომ, რომ კონფედერაციაში შემავალ სახელმწიფოებმა დასდვან პაქტის დამატებითი ხელშეკრულება, სპეციალურად ფინანსური, რომელიც გაარკვევს მეექვსე მუხლში მოხსენებულ დებულებათ.

ასეთია პაქტის დამყარებული წესი. მას ახლავს ნაკლი და არაა საკმაო, უპირველესად იმიტომ, რომ ფინანსურ უპირატესობას ანიჭებს წევრ—სახელმწეფოებს. უდავოა, რომ საკონფედერაციო ხელისუფლებას უნდა მიეცეს ნება დააწესოს ზოგი გადასახადი თავის სასარგებლოთ. მეტყვიან, დადგენილს ვერ გასცილდებით, რადგან ეს გამოიწვევს შემავალ სახელმწიფოების წინააღმდეგობასო. ეს არაა სერიოზული არგუმენტი, ეს ნიშნავს მხოლოდ საერთო ინტერესების ცუდად გაგებას, რომ ვითომც საკონფედერაციო ხელისუფლების განსაზღვრული ფინანსური დამოუკიდებლობა შელახავს წევრ სახელმწიფოების არსებობას. ისტორიამ იცის კონფედერაციები, რომელთაც საკუთარი სახსრები ჰქონდათ. ასეთი იყო ჰოლანდიის შეერთებული პროვინციები.

ფინანსებთან პიდაპირ დაკავშირებულია ფულის საკითხი. კავკასიის კონფედერაციას ექნება ერთი ფული, თუ თითეული შემავალი სახელმწიფო საკუთარს ფულს გამოუშვებს? პაქტი არ არკვევს ამ მნიშვნელოვან საგანს. ამბობს მხოლოდ მოკლედ, რომ განსაკუთრებული შეთანხმება იქნება შემუშავებული ფულის გაერთიანებისთვისო (მ. 15). ყოველ შემთხვევაში აღიარებს ერთი ფულის პრინციპს და მის დაწვრილებითს მოწესრიგებას მიანდობს სპეციალურ ხელშეკრულებას. ბრძნული გადაწყვეტილებაა, ვინაიდან ფულის საკითხი ძალიან რთულია და მოითხოვს წმინდა ტექნიკური საგნების ღრმა შესწავლას. აღსანიშნავია, რომ პაქტი აღიარებს ფულის ერთიანობას. ეს დამახასიათებელია: ბევრს საკითხში კონფედერაციის პაქტს ემჩნევა თვისებები, არ ვიტყოდი, უნიტარისტული (ეს გადაჭარბებული იქნებოდა), არამედ ფედერატული. ისეთს შთაბეჭდილებას ღებულობთ, რომ პაქტის ავტორები კონფედერაციას უყურებენ როგორც გარდამავალს, რომელსაც შემდეგ უნდა მოჰყვეს უფრო მჭიდრო კავშირი.

მაგრამ მეორეს მხრით პაქტს ეტყობა ბევრს საკითხებში დიდი გაუბედაობა. გეგონებათ, ავტორებს აშინებთ, როცა რასმე უთმობენ ერთობის იდეას და ცდილობენ სხვა საკითხებში მედგრად დაიცვან შემავალ სახელმწიფოების დამოუკიდებლობა. აქედან წარმოსდგება გადაწყვეტილებანი შერეული და შეუგუებელი, როგორიც ზემოთ განვიხილეთ—კონფედერაციის ფინანსებისა და საბაჟოების შესახებ.

ჩვენის მხრით ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ მხარი დაუჭიროთ ერთობის გაძლიერების ყოველ ცდას. დაფიქრდნენ დაინტერესებული მხარეები: ისინი ერთდებიან საზოგადოთ იმისთვის, რომ დაიცვან გარეშე საფრთხისაგან კონფედერაციაში შემავალ სახელმწიფოების დამოუკიდებლობა. მაგრამ ორში ერთიან ეს საფრთხე მუდმივი არაა, და მაშინ კონფედერაციის დაარსება რა საჭიროა, საკმარისია თავდაცვის საკავშირო ხელშეკრულება გარდამავალ საშიშროების წინააღმდეგ; ან საფრთხე მუდმივია და მაშინ სახელმწიფოთა კონფედერაცია ვერ იძლევა საჭირო გარანტიას საფრთხის დასაძლევად. კონფედერაციების ისტორია გვიჩვენებს, რომ არ შეუძლიათ ხანგრძლივი არსებობა და პირველივე განსაცდელი ამსხვრევს მათ. გავიხსენოთ გერმანიის კონფედერაცია, რომელიც გაჰქრა, როგორც კი განხეთქილება ჩამოვარდა პრუსიასა და ავსტრიას შორის 1866 წ.

ხოლო თუ კონფედერალური წყობილება არის გარდამავალი ფორმა, იგი აუცილებელი ეტაპია, რადგან პრაქტიკულად შეუძლებელია და არცაა სასურველი, რომ თავიდანვე მჭიდროთ შეკავშირდენ სახელმწიფოები, რომლებიც მანამდე სრულიად დამოუკიდებელნი იყვნენ. მჭიდრო შეერთება არც მკვიდრი იქნებოდა. საჭიროა სახელმწიფოთა კონფედერაციის ეტაპის განვლა. ხოლო კონფედერაციის ხელშეკრულებაში უნდა შეიტანონ ელემენტები, რომლებიც გაადვილებენ გარდასვლას, ნაცვლად კონფედერაციისა უფრო მჭიდრო ერთობის მოწყობას. ერთი ფულის დაწესება ერთი ასეთ ელემენტთაგანია და როგორც ამგვარი სრულიად მოსაწონია.

ფულის ერთობა დიდათ შეუწყობს ხელს კავკასიის კონფედერაციაში შემავალ სახელმწიფოების მჭიდრო დაახლოვებას. ერთი ფული გამოიწვევს ცენტრალურ საემისიო ბანკის დაარსებას თავის განყოფილებებით, რომელსაც ექნება ერთი ფინასური

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ფულის პოლიტიკა და მით გაადვილებს უკეთეს ფორმაში გადასვლას.

რაც შეეხება ჯარს, პაქტი უფრო გარკვეულს პასუხს იძლევა. მეშვიდე მუხლში ვკითხულობთ: «კონფედერაციას არ ჰყავს საკუთარი ჯარი, ხოლო ეყოლება მთავარი შტაბი. საგარეო საფრთხის დროს და სახელმწიფოთა საბჭოს მოთხოვნით, თითეული სახელმწიფო მოვალეა გადასცეს საკონფედერაციო ხელისუფლების განკარგულებაში განსაზღვრული რაოდენობა ჯარისა. შეერთებულ ჯარებს ხელმძღვანელობს სახელმწიფოთა საბჭოს დანიშნული მთავარსარდალი».

მეშვიდე მუხლის შენიშვნა ამას დასძენს კიდევ: «განსაკუთრებული სამხედრო შეთანხმება განსაზღვრავს თითეული სახელმწიფოს ჯარის რაოდენობას».

ეს ტექსტი თვალსაჩინო ნიმუშია იმ ორგვარ ტენდენციისა—ფედერალურის და სეპერატისტულის—რომელსაც ზემოთ მივაქციეთ ყურადღება. ინდივიდუალისტური მიდრეკილება, რომელსაც უნდა რაც შეიძლება სრულად დაიცვას შემავალ სახელმწიფოთა დამოუკიდებლობა,—დაკმაყოფილებას იმაში პოულობს, რომ კონფედერაციას საკუთარი ჯარი არა ჰყავს. ერთი შედარება გვეგბადება ამ მუხლის წაკითხვის დროს.

ესაა განიარაღების პროექტი, რომელიც საფრანგეთის მთავრობის სახელით წარადგინა ტარდიემ განიარაღების კონფერენციაზე. ეს პროექტი მიდის უფრო შორს ვიდრე კავკასიის პაქტი, ეხება ისეთ საშინელ ჯარს, როგორიცაა ავიაცია, და მოითხოვს ინტერნაციონალურ საჰაერო ძალის შექმნას და მის გადაცემას ნაციათა ლიგის ხელში. პროექტი უკრძალავს ლიგის წევრებს სამხედრო ავიაციას საკუთარ საჭიროებისათვის. მართალია აკრძალვა ეხება მხოლოდ ავიონებს, რომლებიც ყუმბარებით ფართო სივრცეზე მოქმედებენ, მაგრამ ასეთი ავიონები სწორედ ყველაზე უფრო საშიშნი არიან.

სახმელეთო და საზღვაო ჯარების შესახებ ტარდიეს პროექტი აღიარებს ჩვენი პაქტის სისტემას, ე. ი. რაოდენობითს სისტემას. ლიგის წევრები ვილვალდებულნი არიან გადასცენ ნაციათა ლიგას ომის დროს საბჭოს მოთხოვნით განსაზღვრული რაოდენობა ხმელეთის და ზღვის ჯარისა. ხოლო ეს ვალდებულება ეყრდნობაკეთილს სურვილს და საერთაშორისო ხელშეკრულებათა პატივისცემას, რაიც ყოველთვის არ უდევს საფუძვლად დიდ სახელმწიფოების პოლიტიკას. ამიტომ ხსენებული ვალდებულება პირობითი ღირებულებისაა.

ასეთივეა სწორედ კავკასიის პაქტის მეშვიდე მუხლი. «თითეული სახელმწიფო მოვალეა გადასცეს საკონფედერაციო ხელისუფლების განკარგულებაში განსაზღვრული რაოდენობა ჯარისაო». ცხადია, რომ ასეთი დებულება დამაკმაყოფილებელი არაა. რა მოხდება რომ რომელიმე შემავალმა სახელმწიფომ უარი თქვას და არ მიეშველოს კონფედერაციას განსაცდელის დროს? შეუძლია თუ არა კონფედერაციას ძალა იხმაროს და აიძულოს უარის მთქმელი ნაკისრ მოვალეობის შესასრულებლად? საეჭვოა, რადგან ამ შემთხვევაში მას მოუხდებოდა ბრძოლა ორ ფრონტზე—შიგნით და გარეთ. ასე რომ აქაც ვალდებულება მხოლოდ ზნეობრივია.

მაგრამ უნდა აღვიაროთ, რომ დღევანდელ პირობებში პაქტის ავტორებს უფრო შორს წასვლა არ შეეძლოთ. კონფედერატულ სამხედრო ძალის შექმნა შეზღუდავდა შემავალ სახელმწიფოების აგრეწოდებულ «პოლიტიკურ სუვერენობას», რაზედაც ისინი არ დათანხმდებოდენ. სამაგიეროთ მეშვიდე მუხლი შეიცავს ფრიად მნიშვნელოვან ფედერატულ ელემენტებსაც. ასეთია დაწესება მუდმივი მთავარ შტაბისა; იგი მოწოდებულია, რათა შეათანხმოს თითეული სახელმწიფოს მილიტარული და სტრატეგიული მოქმედებანი და მისცეს მათ ერთნაირი სახეც. მთავარ შტაბის ღირსება დამოკიდებული იქნება იმ პირთა ღირსებაზე, რომლებიც მას შეადგენენ. თუ ისინი თავის სიმაღლეზე იქნებიან, მთავარი შტაბი დიდს გავლენას მოიპოვებს და გახდება საფუძველი მომავალი საკონფედერაციო ჯარისა.

ერთობის მეორე ელემენტია საერთო სარდლობა; სახელმწიფოთა შეერთებულ ჯარებს ხელმძღვანელობს საბჭოს დანიშნული მთავარსარდალი, იბადება კითხვა, მთავარსარდალი ინიშნება მაშინ, როცა კონფლიქტი მოხდება, თუ წინასწარაა დანიშნული. პაქტი არაფერს ამბობს ამის თაობაზე. ერთის მხრით თითქოს უცნაურია მთავარსარდლის დანიშვნა ჯარისთვის, რომელიც არ არსებობს, მაგრამ საკონფედარაციო მთავარ შტაბის არსებობა ჰგულისხმობს, რომ შეიძლება წინასწარ მთავარსარდლის დანიშვნაც. საშიშია, რომ მთავარსარდალი დაინიშნოს, როცა კონფლიქტი მოხდება, რადგან მისი დანიშვნის დაგვიანებამ შეიძლება გაართულოს კონფედერაციის მდგომარეობა.

სასურველია, რომ კავკასიელებმა მიჰბაძონ ტარდიეს. საჭიროა: თუ კონფედერაციას უნდა შეასრულოს თავისი დანიშნულება, მას უნდა მოეპოვებოდეს ძალა, რათა შესძლოს თავის გადაწყვეტილებათა სისრულეში მოყვანა. თუ გადაწყვეტილებას უკან ძალა არ მისდევს, ის შეიძლება დარჩეს ცარიელ სიტყვად.

მიხ. მეხსელიშვილი.

საქართველო და საერთაშორისო უფლება

ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ მოკლედ აღვნიშნოთ 1783 წლის ხელშეკრულობის დადების შემდეგ მომხდარი ამბები. პირველი იყო სპარსეთის თავდასხმა საქართველოზე. წინაამდეგ ხელშეკრულობაში აშკარად გამოთქმულ პირობებისა რუსეთი არ მიეშველა საქართველოს. უკანასკნელი მარტოდ დარჩა და ვერ გაუწია წინაამდეგობა მტრის ჯარს, რომელიც შეესია ქვეყანას და გაანადგურა და სატახტო ქალაქი ცეცხლით გადაწვა (1795 წ.).

ეს იყო პირველი მძიმე დარღვევა რუსეთის მიერ 1783 წლის ხელშეკრულობისა, რომელიც ავალებდა მას საქართველოს დაცვას. ხოლო ერთხმად არის მიღებული საერთაშორისო უფლებაში, ისე როგორც საშინაოშიაც, რომ ვალდებულობის შეუსრულებლობა ერთის მხრის მიერ ათავისუფლებს მეორეს საკუთარ ვალდებულებათაგან. ერთი წინამორბედთაგანი საერთაშორისო უფლებისა Vattel, რომელიც თითქმის ამ ამბების თანამედროვე იყო და რომელმაც განსაკუთრებული სიღრმით შეისწავლა პროტექტორატის ხელშეკრულობის გაუქმების საკითხი, ასე ამბობს ამ საგანზე: «როდესაც რომელიმე ერი სდგება მეორე, უფრო ძლიერის, ერის პროტექტორატის ქვეშ, ან კიდეც დაექვემდებარება მას მფარველობის მისაღებად, და ეს უკანასკნელი არ გაუწევს ნამდვილ მფარველობას შემთხვევის დროს,—აშკარა ხდება, რომ ის უყურადღებოთ სტოვებს ნაკისრ ვალდებულებას, და ამიტომ ჰკარგავს ყველა უფლებას, რომელიც ხელშეკრულობამ მიანიჭა, ხოლო მეორე მხარეც თავისუფლდება ყოველი მოვალეობისაგან, რომელიც თავის თავზე მიიღო, იბრუნებს ყველა თავის უფლებებს და აღიდგენს თავის დამოუკიდებლობას და თავისუფლებას» *). 1783 წ. ხელშეკრულობა მომხდარ ამბის გამო შეიძლებოდა გაუქმებულიყო და საქართველოს, რომელიც განთავისუფლდა ყოველი ვალდებულობისაგან, შეეძლო აღიდგინა ყველა თავისი სუვერენული უფლებანი.

მაგრამ სინამდვილეში მოხდა სულ წინაამდეგი; რუსეთმა უარყო ხელშეკრულობის მე-12 მუხლი, რომელიც მოითხოვდა, რომ ვალდებულებათა ყოველგვარი შეცვლა უნდა მომხდარიყო ორივე მხრის შეთანხმებით,—და ცალმხრივი გადაწყვეტილებით რამდენიმე წლის შემდეგ მოახდინა უბრალოთ საქართველოს სრული ანექსია. ეს ანექსია გამოცხადდა ორი მანიფესტით—პირველი გამოაქვეყნა იმპერატორმა პავლემ 1801 წ. 28 იანვარს, ხოლო მეორე, რომელიც ადასტურებდა პირველს,—ალექსანდრე პირველმა იმავე წლის 18 სექტემბერს.

ამგვარად რუსეთმა ცალმხრივი აქტებით მიითვისა უფლებები, რომლებიც მას არ ჰქონდა პროტექტორატის ხელშეკრულობით. ეს გარემოება უფლებას აძლევდა საქართველოს გაუქმებულად ეცნო ხელშეკრულობა და თავისი თავი სრულიად განთავისუფლებულად ყოველი ვალდებულობისაგან რუსეთის მიმართ. ვატტელი აქაც იმავე აზრისაა; თავის ნაშრომის 198 პარაგრაფში სწერს: «იმავე პრინციპის ძალით, რომელიც ანთავისუფლებს ერთს მხარეთაგანს, როცა მეორე არ ასრულებს თავის მოვალეობას, ან უფრო ძლიერი ცთილობს დააკისროს სუსტს მხარეს უფრო მეტი ვალდებულება, ვიდრე ნაგულისხმევია პროტექტორატის თუ დაქვემდებარების ხელშეკრულობაში,—ამ უკანასკნელს მხარეს შეუძლია ხელშეკრულობა გაუქმებულად ჩასთვალოს და იზრუნოს თავის მდგომარეობისათვის, როგორც თვით განსაჯავს. საქმეს რომ სხვანაირად შევხედოთ, მაშინ სუსტს ერს ყოველთვის დაღუპავდა ხელშეკრულობა, რომელსაც მან მიმართა სწორედ თავის დასაცავად, და ის რომ შებორკილი დარჩეს მიღებულ ვალდებულობით, როცა მფარველი მხარე არ ასრულებს თავის ვალდებულობას, ხელშეკრულობა გახდებოდა მისი დასაჭერი მახე» *).

მაშასადამე უდავოა, რომ რაკი რუსეთმა ორჯელ არ შეასრულა თავისი ვალდებულებანი, 1783 წ. ხელშეკრულობა უფლებრივად გაუქმდა. საქართველომ თეორიულად დაიბრუნა სრული თავისი დამოუკიდებლობა. ხოლო ის თუ ვერ სარგებლობდა ამ დამოუკიდებლობას, მხოლოთ იმიტომ, რომ რუსეთმა მოახდინა მისი ოკუპაცია თავის ჯარით.

ძალაზე დამყარებული ანექსია დაემკვიდრა 1783 წლის ორმხრითი ხელშეკრულობისაგან წარმოშობილ პროტექტორატის რეჟიმის ალაგას და შეიქმნა მდგომარეობა ფაქტისა, ნაცვლად წინანდელის იურიდულისა. რა იურიდული შედეგები აქვს ამ ანექსიას? შევნიშნოთ ყოვლის უწინარეს, რომ საქართველოს ანექსია არასოდეს უცვნიათ უცხოეთის სახელმწიფოებს, რომელთაგან ინგლისმა, საფრანგეთმა, ოსმალეთმა და სპარსეთმა პირიქით ფორმალური პროტესტებიც განაცხადეს ამ ფაქტის წინაამდეგ. 1856 წ. ყირიმის ომის დროს საფრანგეთმა, ინგლისმა და ოსმალეთმა აღუთქვეს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა. საფრანგეთის წარმომადგენელი გრაფი მეფრეი სწერდა 1855 წ. 25 დეკემბერს: «დამოუკიდებლობა, წარმატება—აი რა მოგვაქვს ჩვენ თქვენთვის. ევროპას უნდა, რომ თქვენ შემოხვიდეთ განათლებულ ერთა დიდ ოჯახში». ოსმალეთის ჯარის გენერალისსიმუსი კი თავის მხრით სწერდა 1855 წლ. 31 ნოემბერს: «მათი (მოკავშირე სახელმწიფოების) სურვილია, რომ სამეგრელო **) და მისი მეზობელი მხარეები იყვნენ დამოუკიდებელნი რუსეთისა და სხვა სახელმწიფოსაგან, იყვნენ თავისუფალნი და ყავდეთ საკუთარი მთავრობანი».

ბოლოს საქართველოს საკითხი დაისვა ხელახლა პარიზის კონგრესზე 1856 წ. 1856 წლის 1 მარტის პრო-

*) Vattel. დასახ. თხზულებ მუხლი 196. Rivier, 108 გვ. Despagnet, გვ. 400, Nippold, 41-42, Hielborn, 175-183, Kunz, 336 და 337.

*) აგრეთვე Despagnet, 401; Nippold, 42.

**) სამეგრელო მაშინ ჯერ კიდევ არ იყო მთლად დამორჩილებული რუსეთის მიერ.

ტოკოლში ვკითხულობთ: «ბ. გრაფი ვალევსკი, საფრანგეთის დელეგატი, აცხადებს, რომ მოკავშირე სახელმწიფოები მოითხოვენ, რათა სპეციალურად იქნეს განხილული შავი ზღვის აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიების მდგომარეობა». ცხადია, აქ ნაგულისხმევი იყო საქართველო. სამწუხაროთ ეს საკითხი არ იქნა განხილული კონგრესზე, მაშინდელი საერთო ვითარება ხელს არ უწყობდა ამას.

მაგრამ მთავარი ისაა, რომ ქართველი ერი არასოდეს შერიგებია თავის ქვეყნის იძულებით ოკუპაციას. ძნელია ჩამოთვლა ქართველი ერის ყველა აჯანყების და განმათავისუფლებელ ბრძოლის დამპყრობელის წინაამდეგ, რასაც მოსდევდა ყოველთვის საშინელი რეპრესიები. აჯანყება იფეთქებდა ხან ერთს ალაგას. ხან მეორეს—ასე იყო მთელი მე-19 საუკუნის სიგრძეზე—1802 წ., 04, 12, 19, 32, 78 წ. და ბოლოს 1905 წელს. 1907 წ. ქართველმა ერმა პეტიციით მიმართა ჰაგის სამშვიდობო კონფერენციას, სადაც ამბობდა, თუ რა დევნას განიცდიდა რუსეთისაგან, და მოითხოვდა თავის უფლებათა აღდგენას.

თუ ამ ფაქტებზე შევჩერდით, მხოლოთ იმიტომ რომ არიან იურისტები, რომლებიც უარყოფენ საქართველოს დამოუკიდებლობას *). ამ იურიდულ არგუმენტაციას ისინი უპირდაპირებენ «ფაქტის ნორმატივულ ძალას» (normative kraft des Faktischen); ფაქტი ჰქმნის და სპობს უფლებასო. ის ფაქტი, რომ რუსეთმა, ერთ საუკუნეზე მეტი», დაიპყრო საქართველო და მფარველობაში ყოფილი სამეფო გადააქცია რუსეთის გუბერნიებად,—საკმაოა იმისთვის, რომ დაუკარგოს ძალა წინანდელ ხელშეკრულობათ და შექმნას ახალი იურიდული მდგომარეობაო. ეს ნიშნავს ვადის გადასულობის მცნების შეტანას საერთაშორისო უფლებაში **). ხოლო ჩვენ არ გვინდა აქ ვიდავოთ ამ საკითხზე და რაც უნდა მოსაზრებანი იქნეს წარმოდგენილი ამის თაობაზე, საკმარისია იმის აღნიშვნა, რომ პოზიტივურ საერთაშორისო უფლებას ვადის გადასულობის (ფლობელობის ხანგრძლივობის) მცნება არასოდეს დაუმუშავებია; მეტიც შეიძლება ითქვას, მას იგი დღემდის არ უცვნია. უეჭველია, არიან ავტორები, რომელთაც სურთ შეიტანონ საერთაშორისო უფლებაში თვით შეძენა ტერიტორიისა ხანგრძლივი ფლობელობის შემწეობით. ეს უკანასკნელი იქნებოდა საერთო ინსტიტუტი როგორც საერთაშორისო ისე კერძო უფლებისთვის. ხანგრძლივი და მშვიდობიანი ფლობელობის უზრუნველყოფა ერთი აუცილებელ პირობათაგანია სოციალურ მშვიდობიანობისთვის როგორც საერთაშორისო წესიერებისა, ისე საშინაოსთვის.

მაგრამ თანამედროვე საერთაშორისო უფლებას არ მოეპოვება ხანგრძლივი მფლობელობის შესახებ არავითარი გარკვეული წესი, თუ როგორ უნდა გამოვიყენოთ ან რა იურიდული შედეგები ექნება მას. ჯერჯერობით მუშაობა საგნის თეორიული შემუშავებისთვის სწარმოებს და ავტორთა შეხედულობანი ყოველთვის არ ეთანხმებიან ერთი მეორეს; სახელდობრ დიდი განსხვავებაა ხანგრძლივობის ვადის თაობაზე. ესაა უპირველესი საკითხი; მისი გადაჭრა ყოველთვის პრაქტიკულად დამოკიდებული იქნება იმ პირობებისაგან, რომლებშიაც ფლობელობას სარგებლობდა სახელმწიფო, ამ საშუალებით ტერიტორიის შეძენა რომ უნდა. ამ პირობებს შორის, რომლებიც საზოგადოთ მიჩნეული არიან როგორც აუცილებელნი, არის ორი, რომელნიც პირდაპირ ეხებიან ჩვენთვის საინტერესო შემთხვევას.

ყოვლის უწინარეს საჭიროა, რომ ფლობელობა იყოს მშვიდობიანი და შეუწყვეტელი, რომელიც ჰგულისხმობს პრაქტიკულად შემოერთებული ხალხის დათანხმებას, ყოველს შემთხვევაში ჩუმს. ფლობელობა არა მშვიდობიანი, რომელიც მხოლოდ ძალას ემყარება, მნიშვნელობას უკარგავს დროს; ასეთივე გავლენა აქვს ფლობელობის შეწყვეტას ფორმალური ოპოზიციით, შემოერთებული ხალხის აჯანყებით. ხოლო ჩვენ ვიცით, რომ საქართველოს შესახებ, ეს ფლობელობა არ ყოფილა არც მშვიდობიანი, არც შეუწყვეტელი; ერის მუდმივი ამბოხებანი დამჩაგვრელის წინაამდეგ და პროტესტები არ აძლევენ ნებას რუსეთს, გამოიყენოს თავის სასარგებლოთ ხანგრძლივი ფლობელობა.

საჭიროა აგრეთვე, მფლობელმა სახელმწიფომ რომ გამოიყენოს ფლობელობის ხანგრძლივობა, მან თვითონ არ უნდა შესცვალოს ფლობელობის ხასიათი. თუ სახელმწიფო სრულებით დაეპატრონება ტერიტორიას, რომელსაც ფლობს იურიდულად მხოლოთ შეზღუდული უფლებით, და ყოველ შემთხვევაში შინაგანი სუვერენობა ეკუთვნის მეორე სახელმწიფოს, ამ შემთხვევაში მას არ შეუძლია შეიძინოს ტერიტორია ფლობელობის ხანგრძლივობით. «სახელმწიფოს, ამბობს Fauchille, ისე როგორც კერძო პიროვნებას, არ შეუძლია შეძენა უფლების წინაამდეგ, შეუძლებელია თავის ნებით შეცვლა თავის ფლობელობის მიზეზისა და პრინციპისა». «თუ პროტექტორი სახელმწიფო, დასძენს გამოჩენილი სჯულმეტყველი, მთანთქავს იმ სახელმწიფოს მთავრობას და ადმინისტრაციას, რომელიც მის მფარველობის ქვეშაა, და დაუტოვებს მას მარტო ნომინალურ დამოუკიდებლობას, ესეთი ფლობელობა რაც უნდა ხანგრძლივი იყოს, ვერ მიანიჭებს მას სუვერენობას დაკავებულ ტერიტორიაზე» *). ესევეა იმ შემთხვევაშიც, როცა საქმე გვაქვს უფლების უფრო მძიმე დარღვევასთან, როცა მაგალითად მფარველი სახელმწიფო, როგორც ეს მოხდა საქართველოს მიმართ, სრულებით აუქმებს მფარველობის ქვეშ მყოფ სახელმწიფოს დამოუკიდებლობას და გადააქცევს მას თავის პროვინციად.

«ფაქტის ნორმატივული ძალის» საბუთი უვარგისია, ყოველ შემთხვევაში იმ მდგომარეობისთვის, რომელსაც ჩვენ აქ ვეხებით. საქართველოს ფლობე-

*) Von Liszt, Die Volkerrechtliche Stellung der Republik Georgien, ბერლინი 1918.

**) იხ. ამ საგნის მეტად სწორი განხილვა P. Fauchille, Traité de droit international public, t. 1, წ. 2, გვ. 754. აგრეთვე ჩემი Précis de droit International public. 1931. № 105, 106 და 686.

*) Fauchelle, გვ. 760.

ლობა რუსეთის მიერ, თუმცა და ერთ საუკუნეზე მეტს გაგრძელდა, არაა საკმარისი, რომ რუსეთმა მოიპოვოს სუვერენობა საქართველოზე. აქ იყო წმინდა ფაქტის მდგომარეობა, რომელსაც არ შეეძლო ევნო საქართველოს უფლებისთვის. ამგვარად, როგორც ეს თქვა სრულიად სამართლიანად იელინეკმა, «უნდა კარგად გავარჩიოთ თვალსაზრისი პოლიტიკური და თვალსაზრისი იურიდული. იურიდულ დამოუკიდებლობას შეუძლია სრული თანაარსებობა მეტად ფართო პოლიტიკურ დამოკიდებულებასთან. ამ განსხვავებას, პრაქტიკული თვალთსაზრისით, დიდი მნიშვნელობა აქვს: როცა სახელმწიფო იურიდულად დამოუკიდებელია, რაც უნდა ძლიერი იყოს მისი ფაქტიური დამოკიდებულება, იგი სუვერენულია და შეუძლია მოითხოვოს ყველა ის უფლება, რომელიც მას ეკუთვნის საერთაშორისო სამართალით» (G. Iellinek, L'Etat moderne et son droit, ნაწ. 2, Theorie juridique de l'Etat, გვ. 507).

ეს დებულება სავსებით შესაფერია საქართველოს ვითარებისთვის: უბრალო და წმინდა ანექსია რუსეთის—მფარველი სახელმწიფოს მიერ, რომელმაც წინაამდეგ ამისა დახმარება აღუთქვა, იურიდულად უბრუნებს საქართველოს წინანდელს სუვერენობას, რომლის მოსპობა არ შეეძლო სხვა აუცილებელ თვისებებსაც მოკლებულ ფლობელობის ხანგრძლივობას.

Louis Le Fur

საერთაშორისო უფლების პროფესორი
პარიზის უნივერსიტეტში.

გერმანელი ქართველებზე და საქართველოზე 1862 წ.

ამას წინათ გერმანელ მეგობრის ბიბლიოთეკაში ერთ წიგნს წავაწყდი. ის დაწერილია ამ სამოცდაათი წლის წინათ და ჰქვიან «კავკასიაში 1862 წ.». ავტორი არ სჩანს, მაგრამ წიგნის წაკითხვის შემდეგ აშკარა ხდება, რომ მისი დამწერი არის პრუსიის პრინცი ჰოჰენცოლერნების გვარეულობისა და მასთან შეიძლება ერთი-ორი წევრი იმ მრავალრიცხოვან ამალისა, რომელიც მას ახლდა. წიგნი შეიცავს 600 გვერდს, საუცხოოდ არის გამოცემული, ეტყობა ვიწრო წრისათვის და დამშვენებულია მხატვრულად შესრულებულ სურათებით, განსაკუთრებით საქართველოს ცხოვრებიდან. აქ თქვენ ნახავთ: — «მცხეთის მონასტერს», «ტფილისის პანორამას», «ტფილისის ნაწილს ნანგრევებით», «წმ. გიორგის ეკლესიას ტფილისში», «მამა-დავითს», «ხევსურებს», «იმერელს», «გურულს ჩაქურაში», «პატარა იმერელს», და სხვ. გერმანელ სტუმრებს მოუვლიათ მთელი კავკასია ეტლითა და ცხენით... «ამხსნელ-განმარტებლად» მათ ჰყოლიათ რუსეთის მეფის და კავკასიის მართველის წარმომადგენლები—რუსი მოხელეები, რასაკვირველია. ამიტომ წიგნის ავტორების აზრი და შეხედულება პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ მდგომარეობაზე კავკასიაში და კერძოთ საქართველოში არა თუ არ განსხვავდება, არამედ სრული დადასტურებაა იმ აზრისა და სულისკვეთებისა, რომლითაც ხელმძღვანელობდენ რუსეთის მართველი წრეები დაპყრობილ ერების, «ტუზემცების» მიმართ. ერთი სიტყვით რუსეთის მეფეზე უკეთესი მზრუნველი წარმოუდგენელია,— ის ხომ მხოლოდ თავის ქვეშევრდომების ბედნიერებაზე ჰფიქრობდა... უკეთესი დამცველი ღმერთმა შეარცხვინოს,—ეს ხომ დიდი, ძლიერი რუსეთია... ყველაფერი, რაც ტყუილი, ყალბია ამ წიგნში, ის, რასაკვირველია, ნაამბობია ამ რუს მოხელეების მიერ (მაგ. საშინელი დამახინჯებით არის გადმოცემული კონსტანტინე დადიშკელიანის მიერ გენ.-გუბ. გაგარინის მოკვლის ამბავი, შამილის ისტორია და სხვ)... მაგრამ უცხო სტუმრებს აქვთ აგრეთვე თავისი უშუალო შთაბეჭდილებანი: ადამიანი, ბუნება, პირისპირი სიტყვა. და აქ არის ჩვენზე საინტერესო, განსაკუთრებით ჩვენთვის ქართველებისათვის, რადგან მისი დამწერნი უმთავრესად საქართველოს და ქართველებს ეხებიან. ეს ის დროა, როდესაც უზარმაზარი, ექსპანსიით გაუმაძღარი რუსეთი ამთავრებდა კავკასიის ერების მილიტარულ დაპყრობას, მათ დამოუკიდებელ ცხოვრების დასამარებას... პრუსიისათვის, შეიძლება ითქვას, მთელ გერმანიისათვის, თუმცა ის ჯერ გაერთიანებული არ იყო, ეს არის დრო რუსეთთან კეთილ განწყობილების (ბისმარკი ჯერ «რკინის კანცლერი» არ არის, მაგრამ მისი ვარსკვლავი უკვე ძლიერ ბრწყინავს)... «20 სექტემბერს სადილობისას დუშეთს მივაღწიეთ... ის პირველი სადგურია ანანურის შემდეგ. სიჩქარით ვისაუზმეთ, რადგან გვინდოდა მზის ჩასვლამდე ტფილისში ვყოფილიყავით. იმ შენობის ბალკონიდან, სადაც ჩვენ ვსაუზმობთ, თვალს საუცხოო სანახაობა ეშლება: შორით მოსჩანს კარგად შენახული ძველი სასახლე-მოწამე საქართველოს რაინდობის ხანისა, —იისფერად შეღებილი მთები გარს შემორტყმიან მწვანით მოფენილ ჭალებს... მალე მცხეთას მივუახლოვდით... ის უძველესი ქალაქია და ამიტომ უძველესი ქართული ქრონიკები მოგვითხრობენ უკვე მის შესახებ.. ის ქართველ მეფეთა ტახტის და კურთხევის ქალაქია... მცხეთის კათედრალი ქართველებისათვის დედა-ეკლესიაა. აქ ჩვენ გვაჩვენეს მეფეთა საფლავები, რომელთა რეზიდენცია იყო მცხეთა საუკუნეთა განმავლობაში, სანამ ის ტფილისში არ გადავიდა,..

აუწერელი სილამაზის სურათია, როდესაც უკანასკნელ მაღლობიდან თქვენ წინ ამიერ კავკასიის მთავარი ქალაქი გადაიშლება.., განცვიფრებულნი ვართ:—ყველაფერი გაბრწყინვებულია,—აღმოსავლეთის საღამოს მზის სხივები ცეცხლის სინათლეში ჰხვევს ტფილისს, რაც ჩვენ საშვალებას გვართმევს დამშვიდებული ჭვრეტით დავსტკბეთ ამ მშვენიერებით, როგორც მთლიან სურათით...

ქალაქის კარებთან დაგვხდა მთავარ მართებლის ესკორტი—ასეული, რომლის წინამძღოლი პოლკ. ხარიძეა... უამრავ ხალხს მოეყარა აქ თავი: ქართვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებს, სომხებს, თათრებს... ყველა თავის ეროვნულ ტანსაცმელებშია:—ზოგი ფეხით, ზოგი ცხენზე... მეტად ცოცხალი და ფერადებით მდიდარი სურათია.

აგერ ტფილისის უმთავრეს ქუჩაზედაც გავედით, —«ბულვარ»-ი ჰქვიან მას... ის თავის ასნაბიჯიან სიფართით და მრავალსართულიან ლამაზ შენობებით არაფრით ჩამოუვარდება ევროპის მთავარ ქალაქების სახელგანთქმულ ქუჩებს... ბალკონები (ყოველ სართულს ხომ თავისი ბალკონი აქვს,—გრძელი ბალკონი) სავსეა ხალხით, უფრო ქალებით... სცოცხლობს ქუჩა,—სავსე ქუჩა:—ჩამავალ მზის თბილი სხივები ეთამაშებიან მოსეირნეთა ჩაცმულობის ნაარ-ნაირ ფერებს... მდიდრულად მორთული სავაჭროები, რომელნიც უფრო ინგლისურ, ფრანგულ და რუსულ ფირმებს ეკუთვნიან, ეპატიჟებიან მყიდველებს ბრწყინვალე ვიტრინებში გამოფენილ ევროპიდან ახლად ჩამოსულ უცხო საქონლის საყიდლად. როგორც ყოველ დიდ ქალაქში, Magazin de Modes აქაც ფრანგ მოდის ქალების ხელშია. ტყავით, იარაღით და თამბაქოთი უფრო ადგილობრივი მცხოვრებლები ვაჭრობენ...

ჩვენ გავიარეთ «ბულვარი», მოუხვიეთ მარჯვნით, შეუდექით ოდნავ მაღლა მიმავალ ქუჩას, მთავარმართებლის სასახლეს და ბაღს რომ აკრავს. და გავჩერდით სწორედ ამ სასახლის უკან მდებარე შენობასთან, რომელსაც Palais diplomatique ჰქვიან და რომლის დანიშნულება ეტყობა უცხო, მაღალ წოდების სტუმრების მიღება უნდა იყოს... ამ შენობაში ეხლა ცხოვრობს შეფი Chancellerie diplomatique-ის გრაფი ტენგობორსკი. Palais diplomatique-ს —დიდს, ორიენტალურ სტილის, სახლს, უკან მშვენიერი გრძელი ბალკონი აქვს, საიდანაც თვალს ეშლება საუცხოო სანახაობა: წმ. დავითის ეკლესია და მთა...

უპირველესად ყოვლისა ჩვენ აქ გავიცანით ტფილისის გენერალ გუბერნატორი, გენერალ ადიუტანტი, ინფანტერიის გენერალი თავ. გრიგოლ ორბელიანი, რომელიც, რადგან თავ. ბარიატინსკი უკვე ორი წელიწადია კავკასიიდან წასულია, მთავარ-მართებლის თანამდებობას ასრულებს.

თავად ორბელიანების გვარეულობა უძველესი და უძლიერესია საქართველოში... თავადი გრიგოლი ნამდვილი წარმომადგენელია იმ რაინდულ ტრადიციის, რომლითაც ასე მდიდარია კავკასიის ისტორია და რომელიც ასე აუცილებელია ყოველ კარგ მეომრისა და მართველისათვის,—სწორეთ ქრისტიანულ რაინდულ ტრადიციის... რადგან თუ ჩერქეზები მაჰმადიანურ რაინდობას იცავენ,—ქართველები ქრისტიანულ ტრადიციის მიმდევრები არიან.— როგორც მისმა ძმამ, რომელიც 1855 წ. ყარსთან გმირულად მოკვდა,—ისე თავ. გრიგოლმა ბევრჯერ დაამტკიცა, რომ ის უშიშარი მეომარი და ნიჭიერი წინამძღოლია;—მართველობაში კი ის ენერგიული და ჰუმანიური აღმასრულებელია თავის დიდ მოვალეობის. მის თვალებში თქვენ ნათლად ამოიკითხავთ, თუ რაოდენად განვითარებულია თავ. გრიგოლ ორბელიანში კეთილშობილებისა და პასუხისმგებლობის გრძნობა...

მისალმების შემდეგ ყველა უკან ბალკონზე გავედით. ამ ბალკონს 40 ნაბიჯი სიგრძე აქვს. უკვე ბნელოდა... წვიმა მოსულიყო და ჰაერი გაეგრილებინა... დროგამოშვებით ელვის უეცარი და სწრაფი განათება წუთით მაინც გვაძლევდა საშუალებას გაგვერჩია რაიმე და დავმტკბარიყავით წმ. დავითის ეკლესიის ჯადოსნურ მშვენიერებით; ეკლესია, რომელიც ასე მშვიდად, ასე განმარტოებით მიკრულია მთის შუა-გულში...

ღმერთო ჩემო, რამდენი უბედურება დატრიალებულა ამ შესანიშნავ ქალაქის თავზე!—ის არ არის ისე ძველი, როგორც მცხეთაა, მაგრამ მისი ისტორიაც შორ, შორ წარსულში იკარგება. ბევრი ბრწყინვალე დღეები უნახავს საქართველოს დედა-ქალაქს, მაგრამ მათ ბევრი შავი დღეებიც მოჰყოლია;—ხანა ომების, აოხრების,—უბედურების. ყველაზე მეტი ტანჯვა ვაება მას ქვეყნის ამაოხრებელ თემურ-ლენგისაგან განუცდია... მაგრამ მაინც მისი სახელი მჭიდროთ არის დაკავშირებული საქართველოს მეფეების ისტორიასთან, რომელნიც 1800 წლამდე უკვე მრავალი საუკუნე მართავდენ და განაგებდენ ამ მშვენიერ ქვეყანას. ევროპის მეფეთა არც ერთ გვარეულობას არ აქვს ისე გრძელი ისტორია, როგორც ბაგრატიონებს...

მეორე დღეს ვინახულეთ სპარსული აბანო...

საღამოს ვიყავით საოპერო თეატრში, სადაც იტალიური დასი არდგენდა «ბეატ. დი ტენდა». წარმოდგენა ჩინებული იყო... თეატრი მავრიტანული სტილის შენობაა და წამოჭიმულია ევროპიულ ნაწილის ცენტრში. ძნელია კაცმა უფრო მოკაზმული რამ წარმოიდგინოს, ვიდრე ეს ფერადებით მდიდარი, ბრწყინვალედ განათებული ზალაა, რომლის ლოჟები სავსეა ულამაზეს ქართველ ქალებით, თავისი, გემოვნებით სავსე, მოხდენილ ჩაცმულობით და მდიდარ თავ-კაზმულობით, გრძელ ვერცხლით ნაკერ ლეჩაქებში, «ათასი და ერთი ღამის» ზღაპრებს რომ მოგაგონებენ...

დიდი ინტერესი გამოიწვია ჩვენში ძველი ტფილისის ნანგრევებმა. თავისთავად ღირს-შესანიშნავია იმ ისტორიულ მოგონებებით, რომელნიც აკავშირებენ ქალაქსა და ამ ნანგრევებს. მაგრამ ორმაგად უფრო მიმზიდველია მათი მდებარეობა, შეუდარებელ სანახაობას რომ შლის მაყურებელის თვალწინ:—წინ ქვევით ქალაქი და შორს, შორს კავკასიონი დათოვლილ ქუდებით... მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ ჩვენ ჰაერით მდიდარს, გამაცოცხლებელ მამა-დავითს და მის მონასტერს, რომელიც გაუთხოვარ ქართველ ქალების საყვარელი სალოცავია: აქ ისინი ეკითხებიან მუნჯ ორაკულს, როდის მოითხოვს და წაიყვანს მათ სათაყვანებელი საბედო...ეკლესიის პატივცემულ მამებს მიჰყავთ ახალგაზდა ქალები ერთ პატარა გამოქვაბულთან, რომელიც ეკლესიის კედელშია... ყოველი მათგანი ისვრის ამ გამოქვაბულისაკენ დანიშნულ ადგილიდან კენჭს. თუ კენჭი გამოქვაბულში ჩავარდა, ხომ კარგი, თუ არა და მაშინ საბედოს დაგვიანდება... სულ უიმედოთ არ ისტუმრებენ კეთილი მამები თავის მომავლით ასე დაინტერესებულ ქართველ ქალებს..,

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქედან ჩვენ ტფილისის ბოტანიკურ ბაღის დასათვალიერებლად წავედით. ეს საქმე სულ ახალია ამ ქალაქისათვის. სულ რამდენიმე წელია, რაც დაუწყიათ... კიდევ რამდენიმე წელი ბეჯით მუშაობისა და კარგ მოვლისა... და ტფილისის ბოტანიკური ბაღი მედიდურად გვერდში ამოუდგება ევროპის საუკეთესო ბოტანიკურ ბაღებს...

უკანასკნელად ჩვენ ქალაქის აზიურ ნაწილს ვესტუმრეთ. ქუჩები აქ ვიწროა, მაგრამ არც, ისე როგორც ქაიროში და სტამბოლში... სავაჭროები აქ მთლად ღიაა. და მიუხედავად იმისა, რომ ქუჩაზე არაჩვეულებრივი მოძრაობა და ხმაურობაა, შიგ მყოფნი მეტის სიბეჯითით მუშაობენ: ყველა კერავს თუ სცემს ჩაქუჩს,—მუშაობს და თან ხუმრობს. ხელოსნობის ყოველი დარგი არის აქ წარმოდგენილი. რას არ შეხვდებით?! საიარაღოში საუკეთესო რკინას ხმლისათვის, საუნაგროებში შეუდარებელ სამკაულს ცხენისთვის. ვერაფერს ნახავს ადამიანის თვალი ულამაზესს ქართველ ქალის სარტყლისა ზედ დაკიდებულ პაწია ხანჯლით. ევროპის სალონების ელეგანტობით დამთვრალი ქალიც არ დაფიქრთებოდა ერთ წუთსაც, რათა დაემშვენებია თავისი განებივრებული ტანი ასეთ სამკაულით. მაგრამ ევროპიელისათვის ეს კი არ არის იმდენად საინტერესო... საინტერესოა ქუჩა და აქ მოძრავი ხალხი! როგორი ფერადი, ყოველ წუთში ცვალებადი სურათია! სპარსი, თათარი, სომეხი, ჩერქეზი, ქართველი,—ქართველი ქალი გრძელ თეთრ ლეჩაქით და მაღალ-ქუსლიან ქოშებით:—არც ერთ ქვეყანას არ შეუძლია დაიკვეხოს ასეთ მრავალფეროვნებით, ორიგინალობით, სილამაზით. ჭეშმარიტად, ვისაც სურს ნახოს თავისი თვალით ის ადგილი, სადაც ევროპა და აზია ერთმანეთს ეხებიან, უკეთ რომ ვსთქვათ, სადაც ისინი ერთმანეთს უპირდაპირდებიან, მან უნდა ნახოს ტფილისის ბაზარი...

ამ ბაზარს აკრავს კარგათ მოზდილი მოედანი, რომელზედაც ვაჭრობენ: ფქვილით, ხორბალით, საქონლით და მწვანილით.—აქედან აღმართ მიმავალ ქუჩით უბრუნდებით ისევ ქალაქის ევროპიულ ნაწილს და მის კონტრასტებს... აგერ ტფილისის საუკეთესო სასტუმრო «ჰოტელ დე ლ'ევროპ» ფართო შესავალით და მშვენიერი ბალკონით... ფიქრი უნებლიეთ უკან იხევს და თვალს ავლებს რამდენიმე ხნის წინათ დატოვებულ ორიენტის საკვირველ კუნძულს»... ერთხელ კიდევ, ერთხელ კიდევ...

24 სეკტემბერს გერმანელი პრინცი თავის ამალით გამგზავრებულა ბაქოსკენ. გაუვლია გომბორი, უნახავს შუამთის მონასტერი, სადაც მას დიდის სტუმართმოყვარეობით გამასპინძლებიან ბერები, ალავერდში დასწრებია ეკლესიის დღეობას, დაუთვალიერებია თვით მონასტერი და 26-ს შესულა თელავში. ცოცხლად და საინტერესოდ არის აწერილი და გადმოცემული ეს მგზავრობა,—მიღებული შთბეჭდილებები;—ბუნება, ხალხი, მისი ჩვეულებები დიდ აღტაცებას იწვევენ მგზავრებში. მხოლოდ ცუდი გზებით ვერ არიან კმაყოფილი ჩვენი სტუმრები და ამაზე აშკარად თავის გაკვირვებას გამოსთქვამენ.

«ჯერ კიდევ სინათლე იყო, როდესაც ჩვენ თელავს მივაღწიეთ. მასპინძლები შეუდგენ ჩვენ დაბინავებას. რადგან მაზრის უფროსის ბინამ ყველა სტუმრები ვერ დაიტია, ამიტომ მათი ერთი ნაწილი მოათავსეს მეფე გიორგი მეცამეტეს ყოფილ სასახლეში, რომელიც გადაჰყურებს მთელ ალაზნის ველს. იმ ღამესვე ჩვენ პატივსაცემლათ გაიმართა დიდი ბალი, რომელსაც მრავალი ხალხი დაესწრო. ბალი გაიხსნა 9 საათზე სასახლის დაბლა სართულში... მეტად საინტერესო შენობაა სასახლე:—მისი სტილი შეერთებაა ქართულისა და საზოგადოთ ირიენტალურ არქიტექტურის ფორმების, რაც ამ სამასი წლის სახლს განსაკუთრებულ თავისებურობის ხასიათს აძლევს. საუბედუროდ, ეტყობა არაფერი გაკეთებულა ამ ღირსშესანიშნავ ხელოვნების ნაშთის, მისი კონსტრუქციის შესანახად, მოსალოდნელია ამ შენობის სრული დანგრევა. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე დარბაზმა, მორთულმა საუკეთესო სპარსული ხალიჩებით,—ის კიდევ უფრო გაიზარდა, გაორკეცდა მისი სიძლიერე, როდესაც ჩვენ ვიხილეთ კედლების გასწვრივ დამჯდარი ქართველი ქალები თავის მშვენიერ ეროვნულ ტანსაცმელში... ამ საუცხოვო, მოულოდნელმა სურთმა დაგვიპყრო... შთაბეჭდილება კიდევ უფრო ძლიერი იქნებოდა, რომ დარბაზის არაჩვეულებრივ სიდიდეს და კედლების სიმაღლეს, ხალიჩების ფერს და მის ნაირ-ნაირობას არ შეესუსტებია განათების ძალა... 15 ულამაზესი ქართველი ქალი გაგვაცნეს... საუბედუროთ ბაასი შეუძლებელი გახდა, რადგან, მხოლოდ დიასახლისმა და ერთმა თავადის ქალმა ჭავჭავაძისამ იცოდენ ფრანგული (როგორც მითხრეს, ეს უკანასკნელი გიორგი მეცამეტის შვილისშვილია)... მხოლოდ რუსი ქალები მოვიდნენ ფრანგულ ტუალეტებში გამოწყობილი.—ქართველი ქალები ეროვნულ ტანსაცმელში ბრწყინავდენ:—ნაზ ფერებს მდიდარი სამკაული ამშვენებდა... დაიწყო ცეკვა... შეასრულეს ლეკური»... მოჰყვება აღწერილობა:—მისი ფორმა და შინაარსი.

«შესაძლებელია გადმოცემაში უბრალოდ, მოსაწყენად მოგეჩვენოთ ეს ცეკვა,—მაგრამ აბა ნახეთ მისი შესრულება ქართველ ქალისა და ვაჟის მიერ! სხვა, გარდა დაბადებით კავკასიელისა, ვერ შეასრულებს ამ ცეკვას ისე, როგორც ამას თვით მისი სული მოითხოვს... ერთხელ მხოლოდ ვნახეთ ჩვენ რუს ოფიცერის ლეკური, მაგრამ... ეს ოფიცერი დაბადებით ქართველი გამოდგა»...

28 სექტემბერს ჩვენ აღგვეძრა სურვილი ქართველ მეფის ძველ სასახლის კვლავ ხილვისა:—გვინდოდა განმეორებით დავმტკბარიყავით ამ შენობის თავისებურობით და ალაზნის ველის შეუდარებელ სანახაობით მოვხიბლულიყავით...—ეხლა დღის სინათლეზე... მართალია თავ. ანდრონიკაშვილი, როდესაც ის თავის წიგნში თელავის მაზრაზე ამბობს: ასეთი გადასახედავი სხვაგან არსად მოიპოვებაო.

აქედან ჩვენ ვესტუმრეთ წინანდალში თავ. ჭავჭავაძეს. თვითონ თავადი ავად იყო და ჩვენ მიგვიღო ღრმად პატივცემულმა დიასახლისმა და მისმა დამ—გენ. ორბელიანის მეუღლემ (ეს ის გენერალია, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელიც 1855 წ. ყარსთან დაეცა,—ძმა თავ. გრ. ორბელიანისა). ამ თავადის ქალების გაცნობა მეტად საინტერესო გამოდგა: ჩვენის თხოვნით მათ გვიამბეს ისტორია შამილის მიერ მათი დატყვევების და 8 თვის შემდეგ განთავისუფლებისა». ეს ამბავი მთლიანად არის მოყვანილი წიგნში.

ბაქოსა და ერევნის გუბერნიების მოვლის შემდეგ, პრინცი თავისი ამალით ისევ ტფილისში დაბრუნებულა და აქ X.26-მდე დარჩენილა. გრიგ. ორბელიანს, როგორც მთავრობის უმაღლეს წარმომადგენელს მოუწყვია აქ მისთვის ნადირობა და წასვლის წინა დღით ბალი, «რომელიც დაგვირგვინება იყო ყველაფერ იმისა, რაც ჩვენ ამ შეუდარებელ ქალაქში, მიმზიდველ, მშვენიერ, ვარდების ტფილისში განვიცადეთ. ბალის დიასახლისი იყო რძალი თავ. გრიგოლისა, რომლის ტყვეობაზე უკვე მოგახსენეთ, და რომელიც ცენტრი იყო მთელი ამ ბრწყინვალე საზოგადოების ყურადღებისა...

26-ს 10 საათზე დავტოვეთ ტფილისი... ჩემს სამშობლოში ეხლა ალბათ უკვე შემოდგომის სიცივეებია,—აქ კი ჯერ ნამდვილი ზაფხულის ბრწყინვალე დღეებია;—მზეს სინათლის ჩარჩოებში ჩაუსხამს ქალაქი, ლამაზი ტფილისი»...

ისევ მცხეთა, მერე გორი, სურამი, ხარაგოული, შორაპანი, ყვირილა და... «როდესაც მაღლობიდან ჩვენ თვალწინ რიონის ჭალები გადაიშალენ, დავინახეთ მშვენიერი ქუთაისი მისი თეთრი სახლებით მწვანეში რომ იმალებიან... ბაღია ქუთაისი... მოსჩანს რიონი, ძველთა ფაზისი, ვხედავთ ნანგრევებს—მოწმეთ ძველ დიდებისა... ჩამოვხტით გუბერნატორის ბინაზე, რომელიც ზედ რიონის პირზეა და რომლის წარსული დაკავშირებულია მეტად სამწუხარო მოგონებასთან: აქ სვანეთის თავადმა კონსტანტინე დადიშკელიანმა მოჰკლა ქუთაისის გუბერნატორი თავ. გაგარინი»... მოყოლილია, როგორც ვთქვი, სრულებით დამახინჯებულად ამ მოკვლის ამბავი.

«თავ. დადიშკელიანი განსაკუთრებული სილამაზის კაცი უნდა ყოფილიყო... თვით გუბ. თავ. გაგარინი იტყოდა თურმე მაზე: «ასეთი მშვენიერი ალბათ პირველი ადამიანი იყო, ღმერთის სადარი»-ო. კონსტანტინე დადიშკელიანი დახვრიტეს მკვლელობის მეორე დღეს. ამბობენ:—მას შიში არ უგრძვნია-ო...

როგორც ყოველგან, აქაც ჩინებულად, გულგაშლილად მიგვიღეს...

29 ოქტომბერს, ე. ი. მეორე დღეს, ჩვენ განვაგრძეთ მგზავრობა»...

სტუმრებს გადაულახავთ რიონი, ცხენისწყალი, გაუვლიათ სუფსა, გორა(!), სადაც მათ თავ. ერისთავი ქართველური გულუხვობით ნადიმით, მოსვენებით, მდიდარ საჩუქრებით გამასპინძლებია და ფრიად ნასიამოვნები ოზურგეთისაკენ გამგზავრებულან...

«ორი საათი ვიარეთ ცხენებით და ბოლოს ერთ მაღლობს მივადექით... აქ ჩვენ მისაღებად 100 ახალგაზდა ცხენოსნით ოზურგეთიდან წამოსულ თავ. დიმიტრი გურიელის ბრძანებით აეშენებიათ ხის ტოტებისაგან მშვენიერი ფაცხა... ეს ადგილი თავადმა ალბათ იმიტომ ამოარჩია, რომ აქედან საუცხოო სანახაობა იშლება: მთები, ჭალები და შორს, შორს შავი ზღვაც კი მოსჩანს, თუმცა ჩვენ მისგან 28 ვერსტით ვარ დაშორებული... მშვენიერი ამინდია... ჯერ კიდევ ცოცხალ მწვანით ვართ გარშემორტყმული»... აქ წიგნის ავტორი ასწერს მასპინძელისა და მის მხლებლების ჩაცმულობას:—ჩაქურას, იარაღს. აღტაცებულია, გაკვირვებული.

და შემდეგ დასძენს:

«მაგრამ ჩაცმულობაზე უფრო ჩვენ ყურადღებას იპყრობს ამ გურულების ტანადობა. ეხლა ჩვენ გურულების ტერიტორიაზე ვიმყოფებით... გრძელი, თლილი ცხვირი, თავისუფალი შუბლი, შავი მოელვარე თვალები, ისპანური ფერის სახე,—ერთი სიტყვით იდეალური ტიპი კავკასიურ რასისა, რაც მით უფრო სასიამოვნოდ გვხდებათ თვალში, რომ გურულები შედარებით სხვა კუთხეების ქართველებთან უფრო რბილი, ნაზი, აღტაცებული არსებანი არიან. თვით სიმღერებში, ცეკვაში, იარაღის თამაშში ნათლად სჩანს ეს განსხვავებული ხასიათი გურულებისა... ჩვენ ჩვენის თვალით ვნახეთ ეს განსხვავება:—იქ ალავერდში და აქ ოზურგეთთან... ორივე მეტად საინტერესოა—ალავერდი და ოზურგეთი—, მაგრამ სხვა და სხვა ხასიათით... იქ ალავერდში ჭიდაობის დროს სისხლი სდიოდა მოწინააღმდეგეებს, აქ ოზურგეთთან ცეკვაში, თამაშში მოქმედებას უფრო ნაზი გამოხატულება ეძლეოდა... ეს სხვადასხვაობა მოასწავებს ერის სულიერ სიმდიდრეს... მაგონდება ჩემი სამშობლო... საუცხოო დროს გატარების და საუზმის შემდეგ გავემგზავრეთ ოზურგეთისაკენ და ჩამოვხტით იმავე თავ. დიმიტრი გურიელის სახლში... აქ ჩვენ გავიცანით თავ. დიმიტრის და ქ-ნი დესპინე მარამბგრატიონისა—ქვრივი ასე 45 წლისა—და მისი ორი ქალიშვილი...

ვერსად ვერ ნახავთ თქვენ ისეთ ლამაზ ხალხს, როგორც აქ იმერეთში, გურიაში, შავი ზღვის პირას.. განსაკუთრებით ეს მამაკაცებზე ითქმის. სახის ფერი, წვერ-ულვაში, თვალები, კბილები, ფართოდ გადაშლილი გულმკერდი, წელი, ფეხები და ყველა ამასთან ჩაცმულობა, გვაძლევს ჩვენ ევროპიელებს საშუალებას გავიგოთ, თუ რატომ სდგას კავკასიური რასა სხვა რასებზე მაღლა... შთაბეჭდილებანი, ჩვენ მიერ აქედან გატანილნი, წარუშლელად დარჩებიან ჩვენს მახსოვრობაში»...

ყველაფრით კმაყოფილნი არიან გერმანელი სტუმრები:—ბუნებით, ხალხით, მის ჩვეულებებით, სტუმართმოყვარეობით... არ მოსწონთ გზები, მიმოსვლის საშუალებები და... ერთი ამბავით კი ძლიერ ნაწყენი არიან: მეტად უხეშად და უზრდელად მოპყრობია მათ ნიგოითში რომელიღაც თავ. მაჭუტაძე, რომელიც სტუმრებს არც კი მიგებებია მისაღებად... ღამე მგზავრებს ძლიერ უსუფთაო საწოლში «მოუსვენიათ»: ბაღლიჯოებმა დაგვჭამეს-ო, ჰყვირის წიგნის დამწერი... რა უნდა ასეთ ადამიანს ასეთ კარგ ხალხშიო—უმატებს ის...

1 ნოემბერს ჩვენი სტუმრები ქუთაისში დაბრუნებულან... 2, 3 გაუვლიათ ხარაგოული, სურამი და მისულან გორში... 4 შედგომიან საქართველოს სამხედრო გზას კავკასიისაკენ.

«1834 და 1846 წ. ეგვიპტეში ვიყავით—ამბობს

შესავალში ავტორი. ვნახეთ ნილოსი, ქაირო, სუეცი, გაცა და რამლაჰ, გავიარეთ სირიის ნაწილი და ვესტუმრეთ იერუსალემს.

ეგვიპტე და კავკასია! 1843-1846-1862 წლები. კავკასიის და ფელახების რასა. იქ ბედუინები, აქ ქართველები. იქ უდაბნო, აქ ტყით მოსილი მთები. იქ დაცემული ცივილიზაცია, აქ შეჩერებული კულტურა, რომელშიდაც შედის გამარჯვებით ევროპის ცივილიზაცია. ამ წინააღმდეგობათა გათვალისწინებამ და მდიდარმა შთაბეჭდილებებმა დაგვაწერია ჩვენ ეს წიგნი:—ეს არის წითელი ზოლი ჩვენი მოგონებებისა».

მ.—ანი.

აზერბეიჯანის ეროვნული ბრძოლა

(შეჭმედ-ზადეს მოგონებიდან, რომელიც წაკითხული იყო ვარშავის «პრომეთე»-ს კლუბში)

აზერბეიჯანი იბრძვის ბოლშევიკების წინაამდეგ, ბრძოლა სწარმოებს სხვადასხვა დარგში, სხვადასხვა სახით. ბრძოლა უთანასწოროა, პირობები ძნიმეა, მაგრამ აზერბეიჯანელი ხალხი არ ნებდება მტერს და იარაღს არ დაყრის, სანამ არ გაიმარჯვებს. 1924 წლამდის, თვით კომუნისტების სიტყვით, აზერბეიჯანის სხვადასხვა ნაწილებში 56-ზე მეტი აჯანყება იყო. მოძრაობა განახლდა 1929 წ., გაგრძელდა ორ წელს და მოედვა მთელს აზერბეიჯანს. ბრძოლის მიზანი ნათელია—თავისუფლება, დამოუკიდებლობის აღდგენა.

და ეს ახალი არაა აზერბეიჯანელი ხალხის ცხოვრებაში, იგი არასოდეს შერიგებია რუსეთის დამკვიდრებას თავის ქვეყანაში. აზერბეიჯანელები ებრძოდენ რუსებს არა მხოლოდ პოლიტიკურად, არამედ სოციალურადაც. რუსის მთავრობამ რომ აზერბეიჯანში ბატონყმობის დამყარება მოინდომა, ამან დიდი სახალხო მოძრაობა გამოიწვია, რამაც გამოხმაურება ჰპოვა ხალხურ პოეზიაშიც...

რუსების მიერ ძალით მოსპობილ ძველი აზერბეიჯანის ნანგრევებზე ნელნელა აღმოცენდა ახალი აზერბეიჯანი. გაჩნდა ახალი ბურჟუაზია, გაჩნდა ევროპიული განათლებით აღჭურვილი ინტელიგენცია. აღორძინდა ახალი მწერლობა, რომელსაც ამშვენებდენ ისეთი მწერლები, როგორიც იყო დრამატურგი მირზა ფატალი ახუნდოვი, პოეტი საბირი, პუბლიცისტი ჰასან ბეი მელიქოვი. ამ მწერლობის მთავარი მამოძრავებელი აზრი იყო ადამიანური და ეროვნული თავისუფლება. პოეტმა მუჰამედ ხადიმ დასწერა პოემა «თანასწორობის ქვეყანა», რომელშიაც მოითხოვდა უსამართლობის და ჩაგვრის მოსასპობად უფლებრივ დემოკრატულ სახელმწიფოს შექმნას და ამბობდა, რომ ბედნიერების მოპოვება მხოლოდ ეროვნული თავისუფლებით შეიძლება.

აზერბეიჯანული პრესის დამაარსებელი და პირველი ჟურნალისტი ჰასან ბეი ჰქადაგებდა 1875 წ., რომ აზერბეიჯანის ერის არსებობისა და წარმატებისათვის აუცილებლად საჭიროა ეროვნული და ევროპიულ საფუძველზე აგებული სკოლა, ეროვნული სასამართლო და ადმინისტრაცია, საჭიროა თავისუფლება პიროვნული და საზოგადოებრივი.

შემდეგი პუბლიცისტები გაჰყვენ ჰასან ბეის გზას და მათი მოძღვრების შინაარსს მუდამ შეადგენდა ხალხოსნობა, ეროვნება, თავისუფლება, თანასწორობა და ევროპიული კულტურა.

ასე დემოკრატული და ეროვნული იყო 1911 წელს დაარსებული «მუსავატის» პარტია, რომელიც მოითხოვდა აზერბეიჯანის დამოუკიდებლობას და საერთოდ მთელი კაცობრიობის ეროვნულ სახელმწიფოებად დაყოფას და მერე საერთაშორისო ფედერაციის მოწყობას.

ბოლშევიკებმა აზერბეიჯანი რომ დაიპყრეს, მხოლოდ სამასი კომუნისტი დახვდათ მთელ აზერბეიჯანში და ისიც მეტ წილად სხვა ეროვნებისანი იყვნენ. მაშინ რუსეთში უკვე «ნეპის» ხანა დაიწყო და აზერბეიჯანში ოკუპანტების მართველობა დაეყრდნო გლეხობას და წვრილ ბურჟუაზიას. ბოლშევიკებმა იწყეს მუშაობა წვრილ ბურჟუაზიის წარმომადგენელ ინტელიგენციასთან, შეკრეს ერთგვარი კავშირი ხალხოსნურ მწერლობასთან, რომელთაც «თანამგზავრები» უწოდეს და ხალხოსნური პოეტი საბირი თავისადაც გამოაცხადეს და ძეგლიც კი დაუდგეს ბაქოში. ბოლშევიკებს უნდოდათ ხალხოსნები გამოეყენებიათ «ნაციონალისტების» წინაამდეგ, რომელთაც უპირველეს საჭიროებად მიაჩნიათ დამოუკიდებლობა და ეროვნული სახელმწიფო.

1926 წელს ძირიანად შეიცვალა მდგომარეობა. წვრილმა მესაკუთრეებმა, გლეხებმა ბატონობა მოიპოვეს ყველგან. ყველა საბჭოები და კოოპერატივები მათ ხელში იყო. დაიწყეს მოთხოვნა, რომ სახელმწიფო მონოპოლია მოსპობილიყო და გამოეცხადებიათ ვაჭრობის თავისუფლება. გლეხებმა აბუჩად აიგდეს სახელმწიფო დაწესებულებანი, თავისი საქონელი გამოიტანეს ბაზარზე და თავისუფალ ფასად ყიდდენ. მთავრობას დაეკარგა ავტორიტეტი და შეირყა მისი ფინანსურ-ეკონომიური გეგმები.

ბოლშევიკები ამხედრდნენ გლეხების წინაამდეგ. აზერბეიჯანის კომპარტიის თავმჯდომარე მირზოიანი ამბობდა: პროლეტარული ბაქო გარშემორტყმულია ნაციონალურად განწყობილ გლეხობით, რომელსაც უნდა პროლეტარულ დიქტატურის გაუქმება.

წინად მირზოიანი ნეპის და გლეხობის დიდი დამცველი იყო. მაგრამ ეხლა მდგომარეობა შეიცვალა.

1927 და 28 წ. აზერბეიჯანის საბჭოების არჩევნებს სისხლის ღვრა მოყვა. ხმა-ჩამორთმეულმა გლეხებმა კომუნისტები და მათი კანდიდატები გამორეკეს და თვითონ გაბატონდენ საბჭოებში. მსგავსი ამბები განმეორდა პურის დამზადების დროსაც.

ოკუპანტები დიდ საგონებელში ჩავარდნენ. მდგომარეობას ართულებდა კიდევ ის გარემოება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ აზერბეიჯანელი კომუნისტები «ნეიტრალიტეტს» იცავდენ და ბოლშევიკებს არ ებრძოდენ.

მოსკოვმა გადაწყვიტა «გაწმენდის» მოხდენა აზერბეიჯანში, რაც დაიწყო მეთაურებიდან. 1929 წ. 25 ივლისს გასცა ბრძანება აზერბეიჯანის ცენტრალურ, საქალაქო, სამაზრო და სასოფლო კომუნისტ. ორგანიზაციების წევრების გამორიცხვის შესახებ და მათ ალაგას ახალი პიოები დანიშნა ცენტრიდან. ყველაზე მეტს ბრალს სდებდენ ბაქოს ორგანიზაციას, რომ არ ებრძოდა წვრილ ბურჟუაზიულ და ნაციონალისტურ მიდრეკილებას, რომ მათ შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებიც აზერბეიჯანის დამოუკიდებლობასაც კი ფიქრობდენ და ებრძოდენ მოსკოვის ბრძანებლობას და ხელმძღვანელობას...

მეთაურების გარეკის შემდეგ მოსკოვი შეუდგა საერთოდ პარტიის გაწმენდას. აზერბეიჯანის ახალგაზდა კომუნისტებიდან გამორიცხეს წევრთა სამი მეხუთედი, ბოლეთა რიცხვი პარტიაში სამოც პროცენტიდან დაიყვანეს 13 მდე. ბოლეებს წაართვეს საარჩევნო უფლებები, ჩამოართვეს «ხედმეტი» მიწები, დაუწყეს დევნა კოოპერატივებიდან. ეს იყო კოლექტივიზაციის მოახლოვება.

მალე ბოლშევიკებმა დაიწყეს ეს კოლექტივიზაციაც, რომელსაც სასტიკი წინააღმდეგობით შეხვდა მთელი აზერბეიჯანი. 1929 წ. დასასრულიდან 1931 წ. ნახევრამდე ბოლეთა საყოველთაო აჯანყება იყო. ნამდვილი ომი სწარმოებდა, გაზებით, ჰაეროპლანებით...

მოხდა დიდი გადატეხა საზოგადოებრივი აზრის. აზერბეიჯანის ყველა ინტელექტუალური და ფიზიკური ძალა შეერთდა ეროვნების, დამოუკიდებლობის და დემოკრატული რესპუბლიკის დროშის გარშემო. ბოლშევიკებს გაუდგნენ არა თუ აგრე წოდებული «თანამგზავრები», არამედ თვით «პროლეტარულ» მწერლობაშიაც გაისმა ეროვნული მოტივი...

როგორია აზერბეიჯანში მდგომარეობა დღეს? ამის პასუხს გვაძლევს აზერბეიჯანის კომპარტიის თავმჯდომარე პოლონსკი: პარტიის გაწმენდის შემდეგ გაჩნდენ ახალი ოპოზიციონერები, რომლებიც ებრძოდენ ლომინაძესთან ერთად გენერალურ ხაზს; ამათი განდევნის შემდეგ თავი წამოყვეს ახალმა ოპოზიციონურმა ჯგუფებმა, ზოგნი სოციალიზმის წინააღმდეგნი არიან, ზოგნი თავგამოდებით იცავენ ადგილობრივ ნაციონალიზმს და რუსეთისაგან ჩამოშორებაც კი უნდათ. პოლონსკი მოითხოვს გაძლიერებულ ბრძოლას ნაციონალიზმის წინააღმდეგ და «მუსავატ»-ისტურ მიდრეკილების სრულს ამოფხვრას...

მაგრამ ბოლშევიკების ცდა ამაოა. აზერბეიჯანში ბრძოლა არ შეჩერდება, ბრძოლა ეროვნების გამარჯვებამდე, დამოუკიდებლობის სრულ აღდგენამდე. აზერბეიჯანი იბრძვის და ის კარგად ხედავს, რომ საერთო ჭირი და უბედურება აერთებს მას კავკასიის სხვა ერებთან, უკრაინასთან, თურქესტანთან და სხვა დაჩაგრულ ერებთან.

ეროვნული მოძრაობა მაჰმადიანთა შორის

პოლიტიკური ცვლილება.

უმთავრესი უბედურება აღმოსავლეთისა იყო მისი პოლიტიკური ტრადიცია. სახელმწიფოებრივ წყობილების ტიპური ფორმა აღმოსავლეთში იყო დესპოტიზმი, სადაც ხელმწიფის ნება იყო კანონი და ქვეშევრდომნი—მონები. ერთადერთი დაბრკოლება დესპოტიზმისა იყო რჯული, მაგრამ, სამღვდელოებას თუ ხელს არ ახლებდა, დანარჩენში თავისუფალი იყო, როგორც უნდოდა მოქცეულიყო.

ეხლა გამოცდილებამ საბოლოოდ დაგვიმტკიცა, რომ დესპოტიზმი სახელმწიფოებრივ წყობილების ცუდი ფორმაა. არსებობს «კეთილ დესპოტის» ლეგენდა. ასეთი დესპოტი წარმოდგენილია, როგორც თავის ერის მამა, რომელსაც გარს ახვევია ბრძენი მრჩევლები და რომლისათვისაც კმარა თავი გაიქნიოს, რომ ყოველივე უბედურება მოჰსპოს. ასეთი რამ ზღაპარშია კარგი, სინამდილეში კი «კეთილი დესპოტი» იშვიათი მოვლენაა და უფრო იშვიათია ღირსი მემკვიდრე. ჩვეულებრივ «ერის მამას» ფუფუნების მოყვარული შვილი ჰყავს და გარყვნილი შვილიშვილი. სამწუხარო სამება,—დავითი, სოლომონი და რობოამი,—ისეთის მსგავსებით მეორდება მუდამ ისტორიაში, რომ მისი გადასხვაფერება უიმედოა.

დასავლეთს არასდროს არ ჰსცოდნია ამ სახის დესპოტიზმი» *), აღმოსავლეთის ხელმწიფეს შეუძლია ჩაიკეტოს თავის ჰარამხანაში და მთელი მართვა გამგეობა ჩააბაროს ვეზირს. ეს უკანასკნელი ხდება ამ შემთხვევაში დესპოტი, რომლის ნებას ემორჩილება ყოველივე, იმ განსხვავებით ოღონდა, რომ საღამოს რომელიმე ტურფას უბრალო წარბის შეკვრაზე ხელმწიფეს შეუძლია გაუგზავნოს ვეზირს ზანგი საჯურისის ხელით თოკი, და ვეზირი ხმაამოუღებლივ თვითონ გაჰყოფს კისერს სახრჩობელაში. აი ნამდვილი აღმოსავლეთური დესპოტიზმი.

ცხადია, რომ ასეთი ტრადიცია ვერ შეჰქმნიდა ვერასდროს წესიერ მთავრობას და ვერავითარ პროგრესს. ამიტომ, თუ გამოჩნდება დროგამოშვებით მხნე და გაბედული ადამიანი, რომელიც ვითომდა წესიერად მართავს ქვეყანას, მოკვდება თუ არა, რაც უნდა ნიჭიერი მემკვიდრე დარჩეს ტახტზე, ის უკვე გარყვნილია იმ პირობებით, რომელშიაც აღიზარდა, და, რაკი არავითარი სახელმწიფოებრივი წყობილება არ არსებობს, რომელიც ერთხელდასამუდამოდ არის აწყობილი და ავტომატურად მუშაობს, ყველაფერი ირევა და იშლება. უარესი ემართება შვილიშვილს. მის ხელში სახელმწიფო ნაწილდება, ჩნდებიან პატარა ხელმწიფები და ასე გრძელდება, ვიდრე ერთი ამ პატარა დესპოტთაგანი არ გაბატონდება. და ისევ იწყება დავით, სოლომონ და რობოამის ძველი ამბავი.

---

*) არც საქართველოს. ქართველი მეფეები დასავლეთის მეფეთა მსგავს ტიპებათ უნდა ჩაითვალოს.

ასეთია მოკლედ აღმოსავლეთის პოლიტიკური ისტორია.

მაგრამ მთელი აღმოსავლეთი არ წარმოადგენდა ერთს დესპოტიზმს. აქა იქ იყვნენ ხალხები, უმთავრესად მთიელები, რომელთაც სძულდათ დესპოტიზმი. ასეთი იყვნენ მუდამ არაბები. ჩვენ ვნახეთ, როგორ დაარსდა დემოკრატული სახალიფო, როგორ გაიმარჯვა შემდეგ დესპოტიზმა და როგორ გაიხიზნენ თავისუფლების მოყვარული არაბები უდაბნოში. პოლიტიკური ლიბერალიზმი და სარწმუნოებრივიც გასრესილ იქმნენ თითქმის. თითქმის და არა სრულებით, მექას ხალიფობის ხსოვნა და მოტაზელიზმიც მაინც დარჩა მუსულმანურ გონებაში; დარჩა თავისუფლების მოყვარული არაბეთიც და ისლამიც. ხომ ვერცერთი ღვთისმეტყველი ვერ უარჰყოფდა, რომ მაჰმადს ნათქვამი ჰქონდა, სხვათა შორის: «ყველა მორწმუნენი ძმები არიან», ან «ყველა მუსულმანები თავისუფალნი არიან».

მართლადაც მომხდარ ცვლილებებს არ შეეძლო წაეშალათ, რომ პირვანდელი ისლამი იყო უზენაესი გამოხატულება თავისუფლების მოყვარულ ერისა. ვამბერი ამბობს: ისლამი კი არ იყო, რომ გაანადგურა აზიის დასავლეთი ნაწილი და შეჰმქნა ეხლანდელი სამწუხარო მდგომარეობა, არამედ მუსულმანურ მეფეთა ტირანია; ამან დაამახინჯა წინასწარმეტყველის სწავლა, ამან ამონახა ყურანში ისეთი დებულებანი, რომელნიც საფუძვლად დაედო აბსოლუტიზმს.

ჩვენ ვნახეთ, რომ აღმოსავლეთის დესპოტიზმა მიაღწია თავის უკიდურეს მავნებლობას მე-18 საუკ. და რომ მუსულმანური აღორძინება იყო არა მხოლოდ რჯულის რეფორმა, არამედ პოლიტიკური პროტესტი გარყვნილ ტირანიის წინააღმდეგ. ამ შინაგან მოვლენას გადაება დასავლეთიდან მონაბერი პოლიტიკური სული. შეგნებულმა მუსულმანობამ შეადარა აღმოსავლეთის ხრწნა ევროპის კეთილდღეობას და დაასკვნა, რომ პირველის უბედურების მიზეზი მათი საბრალო მთავრობები უნდა ჰყოფილიყვნენ. გამოჩნდა ზოგი გვირგვინოსანიც, მაგ. ოსმალეთის სულთანი მაჰმუდ 2, რომელთაც მოინდომეს ევროპიულ პოლიტიკის ზოგი რამ მიეღოთ. ოღონდ მათ უნდოდათ ამასთან ერთად თვითმპყრობელობაც შეენახათ. ამიტომ, თუმცა გაიჩინეს ევროპის მიმსგავსებით კანცელარიები და მოხელენი, მაგრამ სამოქალაქო ადმინისტრაციამ, ბნელმა და უვიცმა, ადვილად შეითვისა ევროპიულ ბიუროკრატიზმის ბევრი ცუდი მხარენი, ხოლო კარგი ძლიერ ნაკლებათ.

გაჩნდენ ამავე დროს სხვა ჯურის რეფორმატორებიც, რომელნიც მოითხოვდნენ დასავლეთის სახის კონსტიტუციებს, პარლამენტებს და ამ რეფორმატორების რიცხვი თან და თან იზრდებოდა, და ბოლოს ოსმალეთში ნამდვილი პოლიტიკური პარტიები გაჩნდენ. 1876 წ. ლიბერალებმა სუსტ სულთანს პარლამენტი დაარსებინეს.

ამ პირველ გამარჯვებას მოჰყვა რეაქცია. მუსულმანური მეფენი შეაშინა ლიბერალურ მოძრაობის ზრდამ. აბდულ ჰამიდმა მალე დახურა პარლამენტი და აღადგინა დესპოტიზმი. 1908 წლ. ახალგაზდა თურქთა რევოლუციამდე აღარ ისმოდა ლიბერალურ მოძრაობის ჟაჟანი. იგი სარდაფებში დაიმალა ან სამზღვარ გარეთ გაიხიზნა.

მე 19 საუკ. ბოლოს მხოლოდ ოთხი მუსულმანური სახელმწიფო იყო დამოუკიდებელი,—ოსმალეთი, სპარსეთი, მაროკო და ავღანისტანი. ორი უკანასკნელი მეტად ჩამორჩენილი იყო, ამიტომ ნამდვილი მოძრაობა დესპოტიზმის წინააღმდეგ შესაძლებელი იყო მხოლოდ ოსმალეთში და სპარსეთში. ოღონდ ისეთს ქვეყნებში, რომელნიც ევროპიელებს ემორჩილებოდნენ, როგორიც არიან ინდოეთი, ეგვიპტე და ალჟირი, ხალხი იმდენად განვითარებული იყო, რომ მასში პოლიტიკურ თავისუფლების მისწრაფებაც გაჩენილიყო და იმავე დროს უცხოეთის ბატონობის საძულველიც, რომელსაც ველური ხალხებიც ისევე გრძნობენ, როგორც განათლებულები.

საჭიროა ამ ორ მისწრაფების განსაზღვრა. ოსმალეთში და სპარსეთში მოძრაობის მიზანი იყო პოლიტიკური გადახალისება, რეფორმა, ხოლო ინდოეთსა, ეგვიპტეში და მსგავს ქვეყნებში—უმთავრესად დამოუკიდებლობა. ამ ქვეყნებში მოძრაობა უფრო ეროვნულია, ვიდრე ლიბერალური. მათ არც კი აქვთ წინასწარ გათვალისწინებული არაფერი პროგრამა იმ დამოუკიდებელ არსებობისა, რომლისთვისაც იბრძვიან. ამიტომაც არის, რომ ეს მოძრაობა თავს უყრის ლიბერალებსაც და ისეთს კონსერვატორებსაც, რომელნიც მზათ არიან დამოუკიდებლობა-მოპოებულ თავიანთ სამშობლოში დესპოტიზმი გაამეფონ. ყველას აკერია პირზე სიტყვა თავისუფლება, და ეს თავისუფლება უცხოელებისაგან განთავისუფლებას ნაშნავს მხოლოდ. საზოგადოთ უნდა ვსთქვათ, რომ პატრიოტიზმს არა აქვს არსებითი კავშირი ლიბერალიზმთან.

მე 19 საუკ, მეორე ნახევრის რეაქციას მოჰყვა რევოლიუციები. ოსმალეთში აბდულ ჰამიდი გადმოაგდეს ტახტიდან და სპარსეთში მოჰამედ ალი შაჰი, და ორივე სახელმწიფოში გაჩნდენ პარლამენტები. საუბედუროდ ორივე სახელმწიფოსთვის ორივემ ახალი ცხოვრება დაიწყეს, როდესაც ქვეყნიერობა იმ მძიმე ხანას განიცდიდა, რომელიც დიდის ომით დამთავრდა.

სრულებით აკადემიურია საკითხი, შესწევს თუ არა ახლო და შუა აღმოსავლეთს ნიჭი თვითონ მართონ თავიანთი თავი. ე. ი, დაამყარონ და შეინახონ წესიერი პოლიტიკური ცხოვრება.

ამის შესახებ აზრები დიდად სხვაობს. პირადად მე ჩემი აზრი ვერ შევადგინე, ამიტომ მოვიყვან არსებულ აზრებს. მაგრამ მანამდე ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ, მაშინ როდესაც მუსულმანურ ხალხებს არაბეთის პოლიტიკური მაგალითი აქვთ და გარდა ამისა მათი რჯულიც შეიცავს ბევრ ლიბერალურ აზრებს, ინდოელებს არაფერი ამის მსგავსი არ აქვთ, ამათი პოლიტიკური წარსული დესპოტიზმის მეტს არას შეიცავს, ხოლო რჯული, ბრამანიზმი, რომელმაც გაქვავებული კასტები შექმნა, ყველა სხვაზე მოკლებულია ლიბერალურ აზრებს.

აღმოსავლეთის ხალხების სრულ დამოუკიდებლობის მოწინააამდეგენი გამოსთქვამენ იმ აზრს, რომ ღრმად გამჯდარი იმ ხალხებში დესპოტური ტრადიციები, მათი ზნე-ჩვეულებანი, დაბალი მორალი, ისტორიის სივრცეზე შეთვისებული მონური ჩვეულებანი, ერთის მხრით, და ბატონობის მეთოდები მეორეს მხრით, ქმნიან იმ ვითარებას, რომ დასავლეთის ფორმები მათში გერეგან ფორმებათ დარჩება, ნამდვილი აზრი თავისუფლებისა, თანასწორობისა და კანონიერებისა კი გაუნაღდებელი დარჩება, რადგან ძალაუფლება ან მაღალ კასტების წარმომადგენელს დარჩება, მაგალითად, ინდოეთში ან ევროპიულად განათლებულს პატარა ჯგუფს (ოსმალეთში). იმ აზრის მომხრენი, რომლის თანახმად აღმოსავლეთის ხალხებს შესწევს დასავლეთის სახელმწიფო წყობილების შეთვისების ნიჭი, ამბობენ: ისლამიზმი უდემოკრატულესი რჯული არისო. არაბეთი ყოველთვის დემოკრატულად იყო განწყობილი და ასეთივე რჩება დღემდის. თვით იმ წყობილებაში, რომელიც არსებობდა არაბეთსა თუ ოსმალეთში, იყო საპარლამენტო პრეცედენტები, რაიცა, ერთის მხრით, საჭიროა საპარლამენტო წყობილების შემოსაღებათ, და, მეორეს, ამ შესაძლებლობას ადასტურებს.

დიდმა ომმა იმდენად გააძლიერა აღმოსავლეთის ეროვნული მისწრაფებანი და შეასუსტა ევროპის ძლიერება, რომ უკანასკნელი იძულებული იყო ყოველგან შეემსუბუქებინა უღელი, და ახლო მომავალში შესაძლებელია ახლო და შუა აღმოსავლეთი გახდეს ავტონომიური, ან დამოუკიდებელიც. როგორ მოიხმარენ ამ თავისუფლებას, დაუბრუნდებიან დესპოტიზმს ან ანარქიაში ჩავარდებიან, თუ შესძლებენ წესიერ მთავრობის შექმნას? საკითხია.

პარაზის ქართველ საზოგადოებაში

ქ. ჩოლოყაშვილის ძეგლის გახსნა.

ოქტომბრის 16-ს პარიზის ქართველმა საზოგადოებამ, შიუხედავათ მიმართულებისა, ბ-ნი ელჩის აკაკი ჩხენკელის თანადასწრებით, თავი მოიყარა სენტ-უენის სასაფლაოზე, სადაც ასვენია ჩვენი ეროვნული გმირი ქაქუცა ჩოლოყაშვილი. საფლავი აღარ წარმოადგენდა ძველებურ სანახაობას და სიამოვნებით შეხედავდით ძეგლს, რომელიც დღეს ქაქუცას სამარეს ამშვენებს. გადატეხილი სვეტი, სიმბოლო უდროოდ გადატეხილი სიცოცხლისა, და სიტყვები წარწერილი მარმაროს დაფაზე:

«გადატყდა სიცოცხლე შენი...
გაგრძელდენ საქმენი შენი»...

ზედმიწევნით გამოხატავენ, როგორც ჩვენი ეროვნული გმირის, ისე ქართველი ერის თავგადასავალსა და ბრძოლის გაგრძელებას... მეორე დაფაზე ამოჭრილია ჯვარი ვაზისა მიკუთვნილი ფერით და წარწერა: «ქ. ჩოლოყაშვილი, 1888—1930». საფლავის ქვა არის ღია და მოკენჭილი მარმაროთი,—წინ კი არის ბაღჩა შემკული ჩარგული ყვავილებით. ამ დღეს მრავალმა პირმა მოიტანა კიდევ თაიგულები. მღვდელმა აკურთხა ძეგლი. გალობდა გუნდი. შემდეგ საფრანგეთში მყოფ ქართველთა ასოციაციის თავმჯდომარემ წარმოსთქვა სიტყვა:

«ჩვენმა ძვირფასმა, ეროვნულმა გმირმა ქაქუცამ კვლავ მოგვიყვანა ამ მწუხარების და თან წმინდა ალაგას. ბევრის მთქმელია ეს სანახაობა, რასაც აქ ვხედავთ, უაღრესად სიმბოლიურია. ჩვენი უდროოვოთ დაკარგულ გმირის საფლავზედ ღირსეული ძეგლის დადგმა დიდი ხანია გვაფიქრებდა პარიზელ ქართველობას. სულ თავში ჩვენ გვიტაცებდა სურვილი ამ ალაგას ისეთი ძეგლი დაგვედგა, რომ იგი სწორედ ღირსი ყოფილიყო განსვენებულის. პიროვნებისა, ყოფილიყო გამომხატველი მისი ღვაწლის, მისი სამშობლოსათვის თავდადებულ სამსახურის... გადიოდა ხანი და მცირე რიცხოვანი, ძალზედ გაჭირვებული ქართველობა ვერ ახერხებდა ამას. როცა ეს გამოაშკარავდა, დაიბადა აზრი გვეფიქრა უფრო მარტივ, დროებით ძეგლზედ. ამის სისრულეში მოსაყვანათ იყო კიდეც გადადგმული ნაბიჯი, საზოგადოებრივ აზრის გამოსარკვევად. როდესაც ამნაირს წინასწარ სამზადისში ვიყავით, გამოჩნდა ახალი მადლიანი ინიციატივა, რომელმაც იკისრა საერთო სურვილი განეხორციელებინა ახმაურების გარეშე, სწრაფათ და ქაქუცისადმი იმ ღრმა პატივისცემით და სიყვარულით, რომელიც ღვივის ყოველი ქართველის მკერდში.

ბევრის მთქმელია და სიმბოლიურიც ის გარემოება, რომ ამ საქმის პრაქტიკულად განხორციელება ითავა ქართველმა ქალმა, ქართველმა დედამ! მთლიანი საქართველოც ხომ ქართველ ქალად გვაქვს წარმოდგენილი: ხან ამაყი და ხალისიანი, როდესაც მისი ძენი ბედნიერებაში იმყოფებიან, ხან კი მგლოვიარე, დამწუხრებული, ოდეს მის ძეთა კარს მოადგა გასაჭირი, მაგრამ მუდამ ყამს მშვენიერი, მედიდური, სულით ძლიერი... სწორედ სიმბოლიურია ქართველი ქალის ეს დღევანდელი თაოსნობა... სიმბოლიურია ამ ძეგლზედ გამოსახული ჯვარი ვაზისა, ქართული ჯვარი! ესეც ხომ ქართველთათვის, მათ ეროვნულ სიმბოლოთ არის გადაქცეული. ჯვარი ქრისტესი ჩვენს წარმოდგენაში გასცილდა მხოლოდ წმინდა და სასოებით აღსავსე რიტუალურ ნიშანს ღვთის მსახურობის დროს. იგი ამავე დროს სიმბოლოა წამების ჭეშმარიტებისთვის, თავის დადების თავისუფლებისათვის, ბრძოლა მტარვალის დასამხობათ, დიდი ნუგეში დამწუხრებულთა და დევნილთა... ჩვენ ქართველთათვის ჯვარი ესე თვით ისტორიაა ქართველი ერის, მისი წარსულის მთხრობელი, მისი ბედნიერი მომავლის მეტყველი. აი ამ ჯვრის მფარველობის ქვეშ განისვენებს მშვიდად ჩვენი რაინდი.

მაგრამ ყველაზედ უფრო მეტად მეტყველი ის სანახაობაა, რასაც ჩვენს წინაშე აქ ვიხილავთ ჩვენ. დღეს ამ გმირის საფლავთან მოსულია თითქმის მთელი პარიზში მყოფი ქართველობა, განურჩევლად აზროვნების, მიმართულების, პარტიისა. დიდი ხანია ასეთი ერთ ოჯახათ თავმოყრა ქართველებისა არ გვინახავს აქ და ესეც ხომ სიმბოლიურია. ჩვენ აქ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვდგევართ იმ ეროვნილ გმირის წინაშე, რომელმაც ერთად-ერთი, დიადი მიზანი დაისახა თავის სამოქმედოთ: ბრძოლა სამშობლოს დასახსნელად! და ეს ჩვენი დღევანდელი შეკრება აქ გვიჩვენებს ცხადათ, რომ ჩვენ ამ ბრძოლისათვის ერთნი ვართ, მიუხედავათ ჩვენი აზრთა სხვადასხვაობის, დანაწილების. სამშობლოს იდეის წინაშე ჰქრება ჩვენი დაქსაქსულობა. გადავხედოთ სიყვარულით ქაქუცას საფლავს, რომელიც გვემუდარება და მოგვიწოდებს, ეს ერთობა ხვალაც განვაგრძოთ, განვაგრძოთ იმ ჟამამდე, მანამ ჩვენი სამშობლო არ განთავისუფლდება. ჩვენი გმირი გვაფრთხილებს ყველას: არ ვინ იცის ხვალინდელი დღე რის მომტანია. შეშფოთებულია კაცობრიობა, აღელვებით ამოძრავებულია. იგი დიდი გადამწყვეტი ამოცანის წინაშე სდგას, იმ ალაგას არის მიმდგარი, საიდანაც მეორე გამოსავალი აღარ არის და როდესაც, ვინ იცის, საბოლოოთ უნდა გადაწყდეს ქართველთა ბედიც. თუ ეხლა არ შევერთდით, მაშ როდისღა, როდის! შევფიცოთ ამ ქართველთათვის წმინდა საფლავს, რომ ამ ერთობას აღარ დავარღვევთ...

N.

საქართველოს ამბები

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

მარტვილის რაიონში (სამეგრელო) გეოლოგმა პატრიანმა აღმოაჩინა ქვანახშირის, მარგანეცის და სპილენძის საბადოები და სამკურნალო წყლები და ტალახი.—ხევში აღმოაჩინეს ტყვიის, სპილენძის, თუთიის და გოგირდოვანის რკინის ახალი საბადოები.

— დაიწყეს მუშაობა სვირ-ბაღდადის რკინის გზის გასაყვანად.

— სახელმწიფო ოპერის დირექციამ დაუკვეთა შ. დადიანს «არსენა ოძელაშვილის» საოპერო ლიბრეტო. მუსიკას სწერს ახალგაზდა კომპოზიტორი ანდ. ბალანჩივაძე.

— სიღნაღის რაიონში 16 სექტემბერს მოსულმა სეტყვამ მთლიანად გაანადგურა ანაგის და ვაქირის ვენახის მოსავალი. განადგურებულია აგრეთვე თამბაქო 44 და ბამბა 185 ჰექტარი.

— კომუნ. პარტიიდან გამორიცხეს ვ. ხომერიკი, ქელეხსაევი, მ. ცინცაძე და ვლ. თოდრია. უკანასკნელს აბრალებენ, რომ იგი ძველი ტროცკისტია და «კვლავ დაადგა პარტიასთან ბრძოლის გზას თავის ანონიმურ წერილებში (პროკლამაციებში), აგრეთვე მთელ რიგ ორგანიზაციებისთვის გაგზავნილ ოფიციალურ წერილებში იმეორებდა ტროცკისტულ ცილისწამებას საბჭოთა კავშირში პროლეტარული დიქტატურის უარყოფის, პარტიის გადაგვარების შესახებ და სხვა შეხედულებებს და იდეებს ტროცკისტულ არსენალიდან».

მოძრაობა კავკასიაში

გაზეთ «დნი»ს ატყობინებენ, რომ ანტიბოლშევიკური მოძრაობა კავკასიაში ისევ გრძელდება. მთელი ზაფხული მოანდომეს ბოლშევიკებმა აჯანყებულთა «ბანდების» ლიკვიდაციას, რაიც ადვილი არ იყო, რადგან ბევრგან მეამბოხენი მეტად დიდს წინააღმდეგობას უწევდენ მთავრობის ჯარებს. საქართველოში მოძრაობა ძლიერი იყო ბორჩალოსა და აჭარაში. ამ უკანასკნელ მხარეში მოქმედობდა მეტად კარგად მოწყობილი რაზმი, რომელსაც ბოლშევიკებმა ვერაფერი მოუხერხეს. ბოლოს ასეთს ხერხს მიმართეს: დამშეულსა და შიშველს ხალხს პური და მანუფაქტურა მოუტანეს, მოქრთამეს და გამცემლების დახმარებით დაიმორჩილეს აჯანყებულთა რაზმი. აჯანყებათა ლიკვიდაციას კვლავ მოყვა საშინელი რეპრესიები, მრავალი დაატუსაღეს და გადაასახლეს რუსეთში. მაგრამ სიწყნარე დიდხანს არ გაგრძელებულა და შემოდგომის დასაწყისში მოძრაობა ისევ განახლდა სომხეთსა და აზერბეიჯანში.

პრესსა

კავკასიის მთიელთა ჟურნალ «გორცი კავკაზა»ს მე-31 ნომერში მოთავსებულია თარგმანი «ბრძოლის ხმის» მეთაური წერილის «მოსკოვი და ანგორა», რომელიც შემოკლებით ჩვენც გვქონდა გადმობეჭდილი (დამ. საქ. №79). ჟურნილის რედაქცია თავის მხრით ასეთს შესავალს უკეთებს ქართულ წერილს: «წერილი ეხება თურქეთ საბჭოების ურთიერთობას, რომელიც იზმეტ-ფაშის დელეგაციის მოსკოვში ყოფნის შემდეგ კიდევ უფრო აშკარავებს დაახლოვების ტენდენციას. ეს ფაქტი განხილულია საქართველოს და საერთოდ კავკასიის ინტერესების თვალსაზრისით და თუ მივიღებთ მხედველობაში ორგანოს, სადაც მოთავსებულია წერილი, ცხადია, რომ საქმე გვაქვს საქართველოს ეროვნულ ცენტრის და მთავრობის შეხედულებასთან. წერილი ანალიზს აკეთებს აგრეთვე თურქეთის მომავლის ინტერესების მიხედვით, თუ რამდენად მიზანშეწონილია თურქეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკის საბჭოთაფილური მიდრეკილება. არსებითად ჩვენ ვიზიარებთ წერილის დებულებას და შიშს თურქეთის მომავლის და თურქეთ-კავკასიის ურთიერთობის შესახებ, ხოლო ჩვენის მხრით ვსვამთ კითხვას: არ გამოიწვია, არ შეუწყო ხელი თურქეთის პოლიტიკას ჩვენმა შინაურმა მოუწყობლობამ ახლო წარსულში? იმან რომ არ გვქონდა ერთი მტკიცე კავკასიური პოლიტიკა და ცალცალკე ვმოქმედობდით, ხშირად ერთიმეორის წინაამდეგ, სომხები, აზერბეიჯანელები, ქართველები და მთიელები?

თითქმის 12 მილ. კავკასიელთა გაერთიანებული ნებისყოფა გააფრთხილებდა თურქეთს, რათა არ გადაედგა ნაბიჯები, რომელთა წარმოშვეს მისი დღევანდელი რუსოფილური პოლიტიკა».

Arpajon — Imprimerie de *La Gazette de Seine-et-Oise.* Le Gérant : A. LARGILLIÈRE.